ევროკავშირი საქართველოსთვის





# რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის







# განვითარების მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების ანალიზი

The Hague Academy for local governance

IRC Innovations and reforms Center

SGRC

# რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის

# განვითარების მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების ანალიზი

დათქმა

ლეჩხუმის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2024-2028 წლებისთვის შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურსცენტრთან (SGRC) ერთად, და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

# სარჩევი


1. შესავალი 4
2. დასაბუთება 6
3. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის (ონი, ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი) პროფილი 8
4. სამიზნე რეგიონში სიტუაციური ანალიზი 12
5. დაცული ტერიტორიები რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 14
6. სოფლის მეურნეობა 20
7. პროვინციული სემინარი/შეხვედრა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის შესახებ 22
8. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის შესახებ შეხვედრების შედეგები 23
9. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი 24
10. თემი 26
11. ბუნებრივი რესურსების მართვა 27
12. ტრანსკავკასიური ბილიკი 28
13. საბაზრო შეფასება და შესაძლებლობები 31
14. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ვიზიტორთა ტიპები 32
15. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სამიზნე ბაზრები 33
16. ბაზრის შეფასება 35
17. საკურორტო ინდუსტრია 36
18. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის პროდუქტები 37
19. გიდების გამოკითხვები 38
20. არსებული ეკო და სათავგადასავლო ტურები 39
21. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ოპერირებისადმი ინტერესი მომავალში 42

22. ფინანსური ინვესტიციების ინტერესი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმში 44
23. ტურიზმის სექტორის მიმდინარე პრობლემები 45
24. წინსვლა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმთან ერთად 46
25. დასკვნები 48
25.1. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების წინაპირობები 48
25.2. რეკომენდაციები თემზე დაფუძნებული ეკო და სათავგადასავლო ტურიზმისთვის 49
25.3. მცირე, მიკრო საწარმოები და პარტნიორობა 50
25.4. თემის შეფასება 50
25.5. ეკოლოგიური შეფასება 51
25.6. პარტნიორული ურთიერთობები 51
25.7. ტურიზმის დეპარტამენტი 52
25.8. დაცული ტერიტორიების მართვა 52
25.9. ტურიზმის კერძო სექტორი 53
25.10. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ოთხივე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია 53
26. ეტაპობრივი განხორციელება 54
27. ეტაპი 1 – დანერგვა 55
27.1. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მართვის გეგმა 55
27.2. მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები 56
27.3. ტურიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლება 56
27.4. ინსტიტუციური გამაგრება 57
27.5. ტერიტორიის განაშენიანებისა და ზონირების დაგეგმვა 57
28. ეტაპი 2 – მომზადება 59
28.1. ქსელური სასტუმრო 59
28.2. ადამიანური რესურსების ძიება და ტრენინგები 61
28.3. შესაძლებლობების ზრდა და ინტერესთა დაცვა 62
29. ეტაპი 3 – განხორციელება 63
29.1. ტურის ოპერაციები და პროდუქტის შექმნა 63
29.2. კავშირების დამყარება 63
გამოყენებული ლიტერატურა 64

# 1 შესავალი

## მიზანი

ევროკავშირის პროგრამის „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ ENPARD IV-ის ფარგლებში ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის (IRC) მიერ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ხორციელდება პროექტი „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის მიერ დაიგეგმა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების შესახებ ანალიზის მომზადება. ქვემოთ წარმოდგენილი კვლევის მიზანია, მიღებულ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მომავალში დაინტერესებული მხარეების მიერ მართებულად განისაზღვროს ის პრიორიტეტები, რაც საჭირო იქნება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისათვის.

## ამოცანა

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი, რომელიც ოთხ მუნიციპალიტეტს მოიცავს (ამბროლაური, ონი, ცაგერი და ლენტეხი), მრავალფეროვანი და მდიდარია ბუნებით, ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებით, კულტურით, ტრადიციებით, კულინარიითა და კურორტებით. თუმცა, მიუხედავად ამისა, რეგიონი საქართველოს მასშტაბით ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორებში პოპულარობის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად მონახულებადი რეგიონია, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ყველაზე ნაკლებად მონახულებად 6 რეგიონთან ინაწილებს საშუალოდ ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორთა 5%-ს. ამასთანავე, იმავე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 1.5% მოდის განთავსების საშუალებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობებზე. შესაბამისად, ამ მოცემულობით ტურიზმის სექტორის პოტენციალი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ნაკლებადაა ათვისებული.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ 2025 წლის საქართველოს ტურიზმის სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მაღალმხარჯველობითი უნარის მქონე ვიზიტორთა მოზიდვას. 2020-2030 წლების საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიაში კი განსაზღვრულია კონკრეტული მიზნები ეკოტურიზმის მიმართულებით:

1. ავთენტური, მაღალი ხარისხის, ოთხივე სეზონის ტურისტული პროდუქტები და სერვისები განვითარებულია ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებისა და მდიდარი ცოცხალი კულტურის საფუძველზე.
2. ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად უზრუნველყოფს ეკოტურიზმის მომსახურებას და მისგან იღებს სარგებელს. ეკოტურიზმის განვითარებაში ადგილობრივი თემების ჩართვით შენარჩუნებულია ეკოტურისტული რესურსები.
3. მარკეტინგი და კომუნიკაცია შეესაბამება ეკოტურიზმის სამიზნე ბაზრების მოთხოვნებს და ზრდის ვიზიტორების ეკოლოგიურ ცნობიერებას.
4. ეკოტურიზმის განვითარება ხელს უწყობს მისი ძირითადი რესურსების – ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებისა და მდიდარი ცოცხალი კულტურის გრძელვადიან პერსპექტივაში შენარჩუნებას.
5. ეკოტურიზმის მართვა ყველა დონეზე ითვალისწინებს მულტისექტორულ, ინტერდისციპლინურ და თანამონაწილე-

ობრივ მიდგომას, რომელიც ეფუძნება ეროვნულ კანონმდებლობას“.

2015 წლიდან აქტიურად დაიწყო ტრანსკავკასიური ბილიკის განვითარება, რომელიც სამ ქვეყანას ფარავს – საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ბილიკის საერთო სიგრძე ჯამში 3000 კმ.-ს შეადგენს და ის გაივლის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიაზეც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ამოცანაა, ხელი შეუწყოს სტრატეგიებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობის შესაძლებლობების განვითარებას. სწორედ ამას ემსახურება რეგიონში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების კვლევის განხორციელებაც, რომელიც დაეხმარება როგორც პროექტის გუნდს, ასევე ადგილობრივი განვითარების ჯგუფებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მიზნობრივად დაგეგმონ თავიანთი აქტივობები ამ სფეროში.

# 2 დასაბუთება

ჩვენ მიერ ქვემოთ წარმოდგენილი კვლევა შეეხება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიზანშეწონილობასა და შესაძლებლობებს.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებით განვითარების ფართო შესაძლებლობას იძლევა, იქნება ეს ღვინის ტურიზმი, აგროტურიზმი, ეკო და ექსტრემალური თუ სამთო-სათხილამურო ტურიზმი, ე. ი. მოიცავს ოთხივე სეზონის ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის შეთავაზების შესაძლებლობას, ამ მხარის პოტენციალი მაინც ნაკლებადაა ათვისებული და არც ადგილობრივ და უცხოელ ვიზიტორებში სარგებლობს სათანადო პოპულარობით.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე თვითმყოფადი და უნიკალურია როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, ისე მდიდარი, მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით, თავისი მთიანეთით, კავკასიონის მწვერვალებითა და მთაგრეხილებით, მდინარეებითა და ჩანჩქერებით, მრავალრიცხოვანი ტყის მასივებითა და მათში გავრცელებული ცხოველებითა და ფრინველებით, ბუნებრივი გამოქვაბულებითა და მღვიმეებით, უღელტეხილებით, ალპური სათიბ-საძოვრებით, ულამაზესი გზებითა და ბილიკებით, შაორისა და ლაჯანის წყალსაცავებით, სვანური მურყვამებით (კოშკები) და სხვა სანახაობებით; ასევე, კულტურით, ფოლკლორით, რის შესახებაც ჯერ კიდევ ძველი ბერძენი, რომაელი, სპარსი, თურქი და ევროპელი მკვლევრები და მოგზაურები წერდნენ.

ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი ერთმანეთთან ძალიან ახლოს მდგომი ცნებებია და შესაბამისად, ხშირად მათი რესურსები ერთმანეთს ფარავს. ამდენად ამ რესურსების კვლევა ერთად უნდა მოხდეს, უნდა განისაზღვროს ის ადგილები რეგიონში, რომლებიც ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის შესაძლებლობას იძლევა. რესურსი და პოტენციალი კი საკმაოდ დიდია და ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს როგორც ეკო, ისე სათავგადასავლო ტურიზმისთვის. ეს უკანასკნელი მოიცავს როგორც „მძიმე აქტივობებს", მაგალითად: წყლის თავგადასავლები, სამთო ველოსპორტი, გამოქვაბულებში მოგზაურობა, ალპინიზმი და ა. შ., ასევე „მსუბუქ აქტივობებს", მაგალითად, როგორიცაა ველოსიპედებით სეირნობა, ბუნებაში დასვენება კარვებით, თხილამურებით სრიალი, ჯირითი და ა.შ. ყველა ამ აქტივობის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა ჩვენი სამიზნე რეგიონი.

ვინაიდან ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი მთლიანად დამოკიდებულია ადგილობრივ მოსახლეობაზე და აქედან შემოსული თანხები უშუალოდ აისახება მასზე, ამ ტიპის ტურიზმის განვითარება ზემოხსენებული რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი) მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

მიმდინარე პროექტისთვის ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიზანია, იგი იქცეს დაცული ტერიტორიის ფინანსური საქმიანობის დომინანტ მხარდამჭერ ფაქტორად, რაც ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების დაცვას და ამასთანავე, ადგილობრივ თემებს მისცემს შესაძლებლობას, ეკო და სათავგადასავლო ტურიზმიდან მიიღონ ეკონომიკური სარგებლი. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმიდან მოგების მიღება, შესაძლოა დროში გაიწელოს გამომდინარე იქიდან, რომ ამუშავებას, ტურისტების ფაქტობრივი რაოდენობის ჩამოსვლასა და მოგების მიღებას შორის დიდი შუალედია. ამდენად, აუცილებელია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ხასიათთან, მასშტაბებსა და უპირატესობებთან დაკავშირებული მოლოდინების მართვის საკითხი გადაიჭრას.

## კვლევის ჯგუფი

ევროკავშირის პროგრამის „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის" ENPARD IV-ის ფარგლებში ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის (IRC) მიერ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში დაგეგმილი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების შესახებ კვლევას აწარმოებენ (კვლევა ხორციელდება პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე" ფარგლებში) ზემოაღნიშნული კვლევის კონსულტანტებად არჩეული პირები, სოფიო ჯღარკავა და სალომე ბედუკაძე.

## კვლევის მიდგომები

კვლევა შედგებოდა შემდეგი ამოცანებისაგან: 1) სიტუაციის ანალიზი განვითარებისთვის საკვანძო საკითხების გამოსაკვეთად; 2) შეთავაზებები ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ხედვისა და განვითარების სტრატეგიებთან დაკავშირებით და 3) შეთავაზებები იმ სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით, რომლებიც აუცილებელია ეკოტურიზმის ხედვის განსახორციელებლად. თავდაპირველად ჩატარდა სიტუაციის ანალიზი ადგილზე ვიზიტების საფუძველზე ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ამჟამინდელი მდგომარეობის შესაფასებლად.

## გამოყენებული მეთოდოლოგია

დოკუმენტის ამ ნაწილში აღწერილია ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების შეფასებისათვის. კერძოდ, ამომწურავი და სისტემური ინფორმაციის მოპოვების მიზნით, განისაზღვრა კვლევისა და შეფასების შემდეგი მეთოდოლოგია:

- <u>თვისებრივი კვლევა</u>. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა გულისხმობს საკითხის სიღრმისეულ ანალიზს, ჩვენთვის კვლევის მთავარ და წამყვან მეთოდად არჩეული იქნა თვისებრივი კვლევა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს დაკვირვებას, სიღრმისეულ ინტერვიუს, ფოკუსჯგუფებს და ა. შ. შესაბამისად, დადგინდა სამიზნე ჯგუფები, ფორმულირდა საკვლევი კითხვები, შედგა კითხვარები, დაიგეგმა მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, რის საფუძველზეც გამოიკვეთა მიგნებები და დაიგეგმა ინტერვენცია (ჩარევა), ფორმულირდა რეკომენდაციები.
- <u>მეორეული კვლევა, ანუ მეორეულ მონაცემთა ანალიზი</u> – ტურიზმის კუთხით, არეალში მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და პროგრამების, სამთავრობო თუ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შექმნილი დოკუმენტების (სტრატეგიების) შესწავლის გზით; რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების ანალიზის პროცესში გათვალისწინებული იქნა საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030.
- სამიზნე არეალში არსებული ეკო და სათავგადასავლო პროდუქტებისა და ტურისტული მომსახურების მომწოდებლების საველე კვლევა და სატელეფონო გამოკითხვა (სეზონურად მომუშავე ობიექტებისა, რომლებიც ადგილზე არ იმყოფებოდნენ);
- სამიზნე არეალში მომუშავე ტუროპერატორების/გიდების კვლევა;
- შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან.

სწორად წარმართული კვლევა და კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი მომავალში საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს, მართებულად განსაზღვრონ ის პრიორიტეტები, რაც საჭირო იქნება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისათვის.

# 3 რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის (ონი, ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი) პროფილი

## ონი

ონის მუნიციპალიტეტს არ აქვს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის სტრატეგიული გეგმა. ამ მუნიციპალიტეტში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით პოტენციური საინვესტიციო წყაროებია: მდინარეები, სადაც საჯომარდო სპორტის განვითარებაა შესაძლებელი, ასევე, მინერალური წყლების ჩამოსხმა-რეალიზაცია, ზამთრის სათხილამურო კურორტის განვითარება შქმერსა და მრავალძალში, სანაოსნო ტურების განვითარება მრავალძალის ტბაზე, ბალნეოლოგიური კურორტის განვითარება, საცხენოსნო ტურები. მუნიციპალიტეტში დაახლოებით 323 ახალგაზრდაა. ისინი ძირითადად დასაქმებულები არიან საჯარო და კერძო სექტორში, სასაზღვრო დაცვის პოლიციაში.

2022-2023 წელს ქალაქ ონის მოსახლეობის რაოდენობა 2708 შეადგენდა. ყველაზე მცირერიცხოვანი სოფლებია: გონა, სხიერი, ხირხონისი, სხანარი, გადამში, ჭვებარი, ზვარეთი. ყველაზე მრავალრიცხოვანი სოფლებია: ღები, ღარი, გლოლა, უწერა, სორი და ლაჩთა.

ონის მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ ეროვნებით ქართველები, სომხები, ებრაელები, რუსები და ოსები.

ონის მუნიციპალიტეტში არის ცხრა სკოლა.

მიგრაციის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

მოსახლეობა, ძირითადად, ყიდის თაფლს, ლობიოს, კაკალს, რძის ნაწარმს და ტყის ნობათს, ასევე ხელნაკეთ ნაწარმს.

მცირე საწარმოებიდან ონში ძირითადად არის კვების ობიექტები და თექის საწარმო.

ონში ტურისტულად ყველაზე დატვირთული სეზონი არის ზაფხული.

ონში შეიქმნა რაჭის ეროვნული პარკი, სადაც, ძირითადად, შესულია მთის რაჭის ტყეები.

## ამბროლაური

ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის სტრატეგიული გეგმა არც ამბროლაურის მუნიციპალიტეტს აქვს.

ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით პოტენციური საინვესტიციო წყაროებია წყლის რესურსები და ტყის რესურსები.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების (14-დან 29 წლამდე) რაოდენობას შეადგენს 1829 ადამიანი.

მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობი 1142 კმ 2-ია,საიდანაც 72,5%, ანუ ძირითადი ნაწილი მთიანია, 25% გორაკბორცვიანი, 2,5%-მდე დაბლობი, ჰავა ნოტიოა, იცის ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 8,9 გრადუსი, ხოლო ტენიანობა – 76%. ნიადაგი ძირითადად ნეშომპალა კარბონატულია. საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 720 მ–ია. მუნიციპალიტეტის მდინარეებია: რიონი (სიგრძე 327 კმ), კრიხულა (სიგრძე 15,2 კმ),რიცეულა (სიგრძე 24 კმ), ლუხუნი (სიგრძე 39 კმ), შარეულა (სიგრძე 22 კმ). მუნიციპალიტეტის ტბებია: ჭელიაღელის ტბა (ზედაპირის ფართობი 4 კმ$^2$, მაქსიმალური სიღრმე 25 მ.); შაორის წყალსაცავი (ზედაპირის ფართობი 9.2 კმ$^2$, მაქსიმალური სიღრმე 14.5 მ.);

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით (ტყე, წყალი, ა. შ). ტყით დაფარულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაახლოებით 65,3%. ტყის შემქმნელ ძირითად მერქნიან სახეობებს შორის, მაგარმერქნიანი ფოთლოვნებიდან ჭარბობს წიფელი (46,7%), მნიშვნელოვანი ფართობი უკავია მუხნარებს – 10,8%, წიწვოვნებს – 30,9%,

ხოლო დანარჩენ სხვას კი 11,6. მუნიციპალიტეტი მდიდარია სამკურნალო ბალნეოლოგიური წყლებით (ლიხეთი, ურავი, აბანოეთი, ბუგეული, სხვავა, ქვ.თლუღი, ჭრებალო), რომლებსაც ბალნეოლოგიური თვალსაზრისით დიდი ღირებულება აქვს და ეფექტურ შედეგს იძლევა რევმატიულ და ძვალ-სახსროვანი დაავადებების სამკურნალოდ. მდიდარი ჰიდროლოგიური რესურსები საშუალებას იძლევა მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესების მშენებლობისათვის.

მუნიციპალიტეტის ყველა მდინარე იძლევა თევზჭერის შესაძლებლობას, რაფტინგი მხოლოდ შესაძლებელია მდინარე რიონზე, ხოლო ნავით გასეირნება შესაძლებელია შაორის წყალსაცავზე.

2022 წელს რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობაა 13520; ხოლო 2023 წლის მონაცემებით კი 13612 კაცი. ყველაზე მცირერიცხოვანი სოფელია ხარისთვალი, ხოლო ყველაზე მრავალრიცხოვანი სოფელი კი – სადმელი.

მუნიციპალიტეტის ძირითად მოსახლეობას ქართველები წარმოადგენენ, თუმცა მცირე რაოდენობით გვხვდებიან სხვა ეროვნების მოქალაქეებიც. კერძოდ: რუსი – 5; უკრაინელი – 3; მოლდოველი – 1; ოსი – 3; აფხაზი – 2;

მთიანი რეგიონის საერთო პრობლემებიდან გამომდინარე თვალშისაცემია, მოსახლეობის რაოდენობის კლება. მოსახლეობის შემცირება ხდება როგორც ბუნებრივი კლებით, ისე მუნიციპალიტეტის გარეთ მიგრაციის შედეგად, რასაც თავისი მიზეზები განაპირობებს, რომელთაგან უპირველესია:

ა) მძიმე და დაბალ შემოსავლიანი ტრადიციული ხელით შრომა;

ბ) სამუშაო ადგილების უკმარისობა და დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურება;

გ) საყოფაცხოვრებო პირობების სიმძიმე;

დ) სოციალური და კულტურული მომსახურეობის დაბალი დონე;

ე) მცირე საწარმოების ნაკლებობა, ინვესტიციის მოზიდვის ნაკლებობა.

მიგრაცია ხდება ძირითადად ახალგაზრდობის ხარჯზე, რაც უარყოფითად მოქმედებს

მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე, ანუ იწვევს მოსახლეობის ხელოვნურდ დაბერებას.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის რეგისტრირებული მოსახლეობა დღეის მდგომარეობით შეადგენს 13612-ს, აქედან ქალი – 6870, კაცი – 6742.

2021 წელს მოსახლეობის რიცხვოვნობა შეადგენს – 13589; 2022 წელს რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობაა 13520; ხოლო 2023 წლის მონაცემებით კი 13612 კაცი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 20 საშუალო სკოლა (ქ. ამბროლაურში – 2 და სოფლებში – 18). ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია, ამ ეტაპისთვის არიან შემთავსებელი მასწავლებლები, რის შედეგადაც განიცდის ადამიანური რესურსის ნაკლებობას.

ტყეები იძლევა შესაძლებლობას, სრულად იქნეს დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნილება როგორც საშეშე, ისე სამასალე მერქანზე. ტყეებისა და მისი რესურსების პოტენციალის გამოყენებას მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მერქნული რესურსის არსებული მარაგები სწორად დაგეგმვისა და მდგრადი ტყითსარგებლობის შემთხვევაში, იძლევა როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების, ისე მათი სამრეწველო დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოჭის გირჩის ექსპორტი, რომელიც თავისი ხარისხიდან გამომდინარე, ძალიან მოთხოვნადია ევროპულ ბაზარზე.

გასაუმჯობესებელია ინფრასტრუქტურა, გზები, დასარჩენი ადგილები, გიდები, ძირითადად:

1. პანორამული ხედები,
2. ღელეებზე და პატარა მდინარეებზე გადასასვლელი მცირე ზომის ხიდები,
3. ფანჩატურები,
4. ტურისტული ბილიკები,
5. კემპინგები,
6. გიდები.

რაჭისთვის დამახასიათებელია შემდეგი პროდუქტები: რაჭული ლორი, ღვინო ხვანჭკარა და სხვა ადგილობრივი წარმოების ღვინოები, ადგილობრივი სოფლის პროდუქტები და სხვა.

მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს გადამამუშავებელი საწარმოებს, ხოლო სუსტად არის წარმოდგენილი მძიმე და მომპოვებელი მრეწველობა, შედარებით აქტიურია მშენებლობის სფერო, რომლის გამოცო-

ცხლებას ხელი შეუწყო სხვადასხვა სახელმწიფო ფონდებიდან დაფინანსებულმა პროექტებმა (რგფ, მგფ, მთის ფონდი და სხვ.). უკეთ არის წარმოდგენილი კვების მრეწველობა, ძირითადად ღვინის ქარხნები. რაც გამოწვეულია იმით, რომ მუნიციპალიტეტში გავრცელებულია ენდემური ვაზის ჯიშები, საიდანაც მსოფლიოში განთქმული ღვინოები ჩამოისხმება. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განკერძოებამ მკვეთრად შეცვალა დასაქმებულთა სტრუქტურა დარგების მიხედვით. შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 85% (5414 ადამიანი) თვითდასაქმებულია და სოფლის მეურნეობაშია დაკავებული.

არსებობს როგორც სახელწმიფო ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ მევენახეობის განვითარებას, კერძოდ: 1. მაღამთიან დასახლებაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა; 2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანადაფინანსების პროგრამა; 3. ბიო წარმოების ხელშეწყობის პროგრამა; 4. ფონდი „აფხაზინტერკონტი" (AIC); 5. მევენახეთა ასოციაცია „ხვანჭკარა"; 6. „GRETA"; 7. „FAO"

დატვირთული სეზონია ზაფხული (ივლისი, აგვისტო).

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს იმ თემის სოფლების განსაზღვრა (დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრი), რომელთა შეყვანაც იგეგმება დაცული ტერიტორიების ნუსხაში, კერძოდ:

1. ცახის თემი;
2. ჭელიაღელის თემი;
3. ლიხეთის თემი;
4. ნიკორწმინდის თემი;
5. სხვავის თემი;
6. ნამანევის თემი;
7. ველევის თემი;
8. ხოტევის თემი.

## ცაგერი

ცაგერის მუნიციპალიტეტში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის სტრატეგიული გეგმა არ არსებობს.

მუნიციპალიტეტის შიგნით და რეგიონის ფარგლებში არსებული ტურისტული ბილიკებია:

1) სოფელი ოყურეში – ხვამლის მთა – სოფელი ტვიში.
2) საირმის სვეტები.
3) კურორტი ლაშიჭალა – სოფ. სასაში.
4) სოფელი ზედა საირმე – ლაბეჭინის ეკლესია – სოფელი ქვიშარი.
5) სოფელი ქულბაქი – ლებარდალის ტბა ვარჩხილი.
6) სოფელი ზუბი – ასხის მთა – სოფელი ქულბაქი.

ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით პოტენციური საინვესტიცი წყაროებია ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები, კულტურული და ისტორიული ძეგლები, საკურორტო ადგილები, მდინარეები, ტბები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მთები. მაგ: მაქმსიმე აღმსარებლის ეკლესია, მურის ციხის ბილიკები, ორბელის ციხე, გვესოს ეკლესია, გონის ეკლესია, ლაილაშის სინაგოგა, სომხური ეკლესიის ნანგრევი, ოქრონიშის წყარო და ბულვარი, წმინდა გიორგის ეკლესია, ხვამლის მთა, კურორტები: ლაშიჭალა, ახალჭალა, ძუღური, მწვანე ტბა, საირმის სვეტები, მდინარეები: რიონი, ცხენისწყალი, ჯონოული, ლაჯანური და სხვა.

ცაგერის მუნიციპალიტეტში ამჟამად აღრიცხულია 14 დან 29 წლამდე 980 ახალგაზრდა. მათ შორის ძირითადი ნაწილი არის მოსწავლე და სტუდენტი. მუნიციპალლიტეტს ჰყავს რამდენიმე ასეული ახალგაზრდა, რომელებიც დასაქმებულები არიან სხვადასხვა დაწესებულებაში, ფერმელურ მეურნეობებსა და მცირე ბიზნესში. აქვე აღსანიშნავია, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის (მოსწავლეების) დიდი ნაწილი დაინტერესებულია ქართული ტრადიციული ცეკვებით და მიზანშეწონილია, მათთვის ამ ინტერესის კიდევ უფრო გაღვივება, რათა შენარჩუნებული იყოს კულტურულ-ტრადიციული ღირებულებები და შეექმნათ შესაბამისი გარემო, რათა ჰქონდეთ მეტი მოტივაცია დარჩენისთვის.

ბიო მრავალფეროვნების კუთხით მუნიციპალიტეტში ეკო სისტემებს გადაშენების საშიშროება არ აქვს, ტყეები, გუბეები, ჭაობები კვლავაც ნარჩუნდება. მთის სიტემები, წყლის რესურსები, მდინარეები, ტბები, წყალსაცავები კვლავაც ინარჩუნებენ საკუთარ ფუნქციას.

მუნიციპალიტეტის მდინარეებიდან თევზჭერის საშვალებას ძირითადათ იძლევიან რიონი, ცხენისწყალი, ლაჯანური, ჯონოული რაჩხა და სხვა.

2022-2023 წლის ჭრილში ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა:

2022 წელს – 10 300
2023 წელს – 10 000

ყველაზე მცირერიცხოვანი სოფლებია: ლახეფა, ღუ, ოფიტა-რა, ზარაგულა, ნაკურალეში, სანორჩი.

ყველაზე მრავალრიცხოვანი სოფლები: ქვედა ცაგერი, ორ-ბელი, ჩხუტელი, ოყურეში. ზუბი.

მოსახლეობის მიგრაციის მაჩვენებელი ცაგერის მუნიციპალი-ტეტში ბოლო 3 წლის პერიოდში შეადგენს 5-7%, ცაგერის მუ-ნიციპალიტეტში მოსახლეობის 99% შეადგენენ ქართველები. არიან ძალიან მცირე რაოდენობით რუსები, ოსები, ბერძნები და სხვა ეროვნების ადამიანები.

ცაგერის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საჯარო სკო-ლა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები საშუალო დონეზე უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სკოლები განიცდიან ადამიანური რესურსის დეფიციტს.

მუნიციპალიტეტის ტყეები იძლევა საშუალებას სამასალე მერქნის წარმოების განვითარებისათვის. ასევე მისი მეშვე-ობით ხდება მოსახლეობის გათბობის უზრუნველყოფა ზამ-თრის პერიოდში.

მუნიციპალიტეტში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მი-მართულებით გასაუმჯობესებელია ინფრასტრუქტურა, გზები, დასარჩენი ადგილები, გიდები და ტრანსპორტირების საკი-თხი.

ადგილობრივ მოსახლეობას ტურისტულ ბაზარზე შეუძლია გაყიდოს ღვინო, თაფლი, ყველი, სულგუნი, სხვადასხვა სა-ხეობის ხილი, ხორცი, თევზი, ლეჩხუმური სამზარეულოს პროდუქტები: შაშხი, ლობიანი, სიმინდიანი პური, სხვადასხვა საწებლები და სხვა.

მუნიციპალიტეტში არსებობს მცირე საწარმოები ღვინის წა-რმოების, რძის პროდუქტების წარმოების მიმართულებით და სხვა.

მუნიციპალიტეტში მოსახლეობას ეწყობა ხელი მევენახეობის განვითარებისათვის. კერძოდ, ეწევა დახმარება შხამქიმიკა-ტების შეძენის კუთხით.

ყველაზე დატვირთული სეზონი თვეების მიმართულებით არის აპრილი, მაისი, ივნისი, აგვისტო, სექტემბერი.

ამჟამად მუნიციპალიტეტში დაცული ტერიტორია არ არსე-ბობს.

იგეგმება დაცული ტერიტორიის ნუსხაში ხვამლის მთისა და მისი შემოგარენის შეყვანა.

## ლენტეხი

ლენტეხის მუნიციპალიტეტს არ აქვს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის სტრატე-გიული გეგმა.

ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მი-მართულებით პოტენციური საინვესტი-ციო წყაროებია წყლის რესურსები და ტყის რესურსები. ლენტეხის მუნიციპალი-ტეტის ტერიტორია ძირითადად ჰიდ-როგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს მდ. ცხენისწყალი. დაბა ლენტეხში მას უერთდება მდ. ხელედურა და მდ. ლა-სკადურა. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ფართობი 1344 კმ$^2$-ია. ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტია დაბა ლენტეხი. სულ მუნიციოალიტეტში 61 სოფელია.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად ითვლება კუ-რორტ მუაშის, ზესხოს, ყორულდაშის და ბავარის ტურისტული და საკუროორტო პოტენციალის ამოქმედება.

ლენტეხის მუნიციპალიტეტი სერიოზული დემოგრაფიული პრობლემების წინაშე დგას და ტურიზმის განვითარება მის-თვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. შესაძლოა მან ვერ გაუწიოს კონკურენ-ცია მესტიასა და ცაგერს, თუმცა შესაძ-ლოა გამოიყენოს მისთვის უნიკალური პოტენციალი სათავგადასავლო ტურიზ-მისთვის.

# 4 სამიზნე რეგიონში სიტუაციური ანალიზი

ზემოთ აღნიშნული მეთოდების გამოყენებით, ეკო და სათავგადასავლო ტურიზმში მაქსიმალური წარმატების მიღწევის მიზნით, კვლევის პროცესი დაიგეგმა ეტაპობრივად. განხორციელების ყველა ეტაპი განიხილული იქნა როგორც გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარების ნაწილი სამიზნე ტერიტორიაზე. ყოველი ახალი ნაბიჯი იყო გეგმის ლოგიკური განვითარების ნაწილი. ამდენად, ანალიზის წერისას გათვალისწინებული იქნა ეკოტურიზმის გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში დასახული მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებები.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების შესახებ ამომწურავი და სისტემური ინფორმაციის მოპოვების მიზნით კვლევისა და შეფასების პროცერსში რამდენიმე მეთოდს მივმართეთ დასახული ამოცანებიდან გამომდინარე. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა გულისხმობს საკითხის სიღრმისეულ ანალიზს, ჩვენთვის კვლევის მთავარ და წამყვან მეთოდად არჩეული იქნა თვისებრივი კვლევა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს დაკვირვებას, სიღრმისეულ ინტერვიუს, ფოკუსჯგუფებს და ა. შ. შესაბამისად, დადგინდა სამიზნე ჯგუფები, ფორმულირდა საკვლევი კითხვები, შედგა კითხვარები, დაიგეგმა მონაცემთა შეგროვება. შესწავლილი და დამუშავებული იქნა სამიზნე არეალში ტურიზმის სფეროში მომუშავე პირებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ასევე ტურისტული მომსახურების მომწოდებლების შეფასება და საველე კვლევის შედეგები. მთავარი ფოკუსი კი გაკეთდა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის პოტენციალის სწორად წარმართვის და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის საჭირო აქტივობების გამოვლენაზე მიზნობრივი რეკომენდაციების განსასაზღვრად.

შესაბამისად, პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე" ფარგლებში განხორცელებული კვლევები ემსახურებოდა შემდეგ ამოცანებს:

- სამიზნე არეალში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის პროდუქტების აღწერა და ანალიზი;
- ტურისტულ სექტორში მოღვაწე ადგილობრივი მეწარმეების საჭიროებების ანალიზი ტურისტული პროდუქტების განვითარებისა და დივერსიფიცირების კუთხით;
- რეკომენდაციების შემუშავება ადგილობრივ დონეზე ტურისტულ სექტორში მოღვაწე მეწარმეების პოტენციალის გაძლიერებისათვის.

ზემოაღნიშნული კვლევის მეთოდის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი გამოყენება საველე პირობებში მუშაობისას დაგვჭირდა. პირველი ვიზიტი კვლევის კონსულტანტების მიერ განხორციელდა **ამბროლაურში.**

ვიზიტის განხორციელებამდე მივმართეთ მეორეული კვლევის მეთოდს, ანუ მეორეულ მონაცემთა ანალიზს – ტურიზმის კუთხით, მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და პროგრამების, სამთავრობო თუ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შექმნილი დოკუმენტების (სტრატეგიების) შესწავლის გზით. ჩვენ მიერ დამუშავდა საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030. შესაბამისად, მეორეული კვლევის ეტაპზე აღიწერა შედარებით დიდი მოცულობის დოკუმენტები, რომლებიც დამუშავდა კატეგორიების მიხედვით. აღნიშნული ფორმატი საშუალებას იძლევა გამოავლინოს მოცულობითი დოკუმენტაციიდან კვლევისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. დაი-

გეგმა აღნიშნულ სტრატეგიებში დასახული მიზნების შესაბამისობის დადგენა არსებულ პირობებთან. ამ კუთხით დაისვა კითხვები შესაბამის ადრესატებთან.

ამბროლაურში პირველი ვიზიტის დროს სამიზნე ჯგუფი იყო სამხარეო ადმინისტრაცია, ამბროლაურის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი. კვლევის კონსულტანტებმა ამომწურავი ინფორმაციის მიღების მიზნით ჩაატარეს სიღრმისეული ინტერვიუ, რის შემდეგაც მერიასაც და საინფორმაციო ცენტრსაც გადაეგზავნათ კითხვარები იმ საჭირო ინფორმაციის მისაღებად, რაც აუცილებელი იყო სამიზნე არეალში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის შესაძლებლობების კვლევის სწორად წარმართვისთვის. იგივე კითხვები გაიგზავნა ონის მუნიციპალიტეტშიც.

რესპოდენტებმა ძირითადად ისაუბრეს არსებულ ვითარებაზე, რა გაკეთდა აქამდე ამ მიმართულებით და რისი პოტენციალი აქვს სამიზნე არეალს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის თვალსაზრისით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, ამბროლაურისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტში სამთო-სათხილამურო კურორტ ჭუთხაროს განვითარებაზე, რაც შესაძლებლობას მისცემს ამ მხარეს ტურისტულად აქტიური გახდეს ზამთრის სეზონზეც. ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრეთ სსიპ კურორტების განვითარების სააგენტოს. მათ აღნიშნეს, რომ მიმდინარეობს სამთო-სათხილამურო კურორტ ჭუთხაროს სივრცით-ეკონომიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევა და სიცოცხლისუნარიანობის შეფასება (განვითარების კონცეფცია).

ამბროლაურში განხორციელებული პირველი ვიზიტის შემდეგ, სამიზნე არეალში ყოფნისას მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე კვლევის კონსულტანტები შეხვდნენ და ასევე, სიღრმისეული ინტერვიუ ჩაატარეს სსიპ კურორტების განვითარებისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოებთან. ორივე შეხვედრა იყო ნაყოფიერი.

# 5 დაცული ტერიტორიები რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში

გამომდინარე იქიდან, რომ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმისათვის ერთ-ერთი საკვანძო არეალი სწორედ დაცული ტერიტორიებია, კვლევის ჯგუფისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეხვედრა, რომლის დროსაც გამოიკვეთა ჩვენი კვლევისთვის ყურადსაღები არაერთი საკითხი. საინტერესო იყო სააგენტოს ხედვა და რეკომენდაციები.

დაცული ტერიტორიების დაარსებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ეს ყოველივე ხდება კანონის საფუძველზე. პირველ ეტაპზე მყარდება კომუნიკაცია ადგილობრივ თემებთან და მუნიციპალიტეტებთან იმის შესახებ, თუ რა არის ზოგადად დაცული ტერიტორია, რა არის ეროვნული პარკი, რა პოტენციალი აქვს, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს დაცული ტერიტორიების დაარსებას; არის თუ არა მოსახლეობის მზაობა და თანხმობა ირგვლივ ტერიტორიის შეკვრასთან დაკავშირებით; შემდგომ ეტაპზე იწყება ტერიტორიის მოკვლევა, ბუნებრივი ფასეულობების შესწავლა, რაც მოითხოვს პირვანდელ ინფორმაციასთან შედარებით უფრო ღრმა და დეტალურ შესწავლას. ამ სწავლების საფუძველზე კეთდება კონტური, თუ კონკრეტულად რომელ ტერიზორიაზე უნდა შეიქმნას დაცული ტერიტორია და შემდეგ უკვე გადის შესაბამის საკანონმდებლო ეტაპებს და ბოლოს პარლამენტი ამტკიცებს. ამის მერე იწყება დაცული ტერიტორიის განვითარების პროცესი.

ონის მუნიციპალიტეტში არის ეროვნული პარკი, რომელიც გაშლილია 51,000 ჰექტარზე. როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ახლა იწყება ამ ტერიტორიის განვითარება. პარალელურ რეჟიმში მიდის სამუშაოები ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დაცული ტერიტორიების შესაქმნელად. დაცული ტერიტორიები არის რამოდენიმე კატეგორიის. სულ საქართველოში არსებობს 6 კატეგორია; მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ეროვნული პარკი, რომელიც ემსახურება ტურიზმის განვითარებას და ასევე არ ზღუდავს ადგილობრივ თემებს თავიანთ საქმიანობაში, კერძოდ, რესურსებით სარგებლობაში. ასევე აღინიშნა, რომ ონის მუნიციპალიტეტში ამ დაცულ ტერიტორიას უკვე ჰყავს დონორი ორგანიზაცია, რომელიც აფინანსებს პროექტს; პროექტი დამტკიცებულია და ახლა მიმდინარეობს დაგეგმარების ეტაპები. ამიტომაც, ჯერ კონკრეტულად არაფერია განხორციელებული. პროექტი მოიცავს სოციო-ეკონომიკურ კომპონენტებსაც, რაც ითვალისწინებს ადგილობრივი თემების გარკვეული საჭიროებების დაფინანსებას. ეს შეიძლება იყოს როგორც ტურისტული განვითარების, ასევე სოციალური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისითაც.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებმა კვლევის კონსულტანტებთან საუბრისას აღნიშნეს, ასევე, რომ რაჭის ეროვნულ პარკში იგეგმება ვიზიტორთა ცენტრის აშენება, დაახლოებით გლოლის ტერიტორიაზე. ადგილი იდენტიფიცირებულია და შემგდომი ნაბიჯები მდგომარებს იმაში, რომ ვიზიტორთა ცენტრის აშენების შემდეგ მოეწყობა ეკო-ტურისტული ინფრასტრუქტურა ველზე, მაგრამ ეს არ იქნება მაშტაბური; არამედ იქნება მინიმალისტური ინფრასტრუქტურა, სტანდარტის შესაბამისი ბილიკებით და ცეცხლის დასანთები, საპიკნიკე, საკემპინგე ადგილებით, რამდენიმე გადმოსახედით. ოფიციალური კვლევა ჯერ არ ჩატარებულა, თუმცა პოტენცია არსებობს და დეტალიზაცია უნდა მოხდეს პროექტის ფარგლებში. ჯერ იქნება კვლევა, შემდეგ პროექტირება და შემდეგ მშენებლობის ეტაპი. კონკრეტულად რა მასშტაბის იქნება, რამდენი ტურისტული თავშესაფარი და რამდენი ბილიკი მოიყრის თავს, ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ამ ეტაპზე სააგენტოს არ აქვს.

ვინაიდან დაცული ტერიტორიის დაარსების მიზანი ამ ტერიტორიის განვითარებასთან ერთად, გამომდინარე იქიდან, რომ სერვისის მიმწოდებელი ჩვენს ქვეყანაში, ძირითადად, არის ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე არის ის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ჩამოუყალიბოს დაცული ტერიტორიის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, დაინახონ დადებითი ზეგავლენა მათ ყოველდღიურ საქმიანობაში (სოციალური იქნება ეს თუ ეკონომიკური), მიიღონ სარგებელი; მაგალითად, ტრანსპორტით მომსახურება, ღამის გასათევი, კვების ობიექტი და ა.შ. აუცილებლად უნდა იყოს ადგილობრივი თემების მიერ შეთავაზებული. სწორედ ამ ნაწილშია სოციო-ეკონომიკური კომპონენტი ნაგულისხმევი მიმდებარე სოფლებისთვის: გლოლა, ღები, ჭიორა, საკაოს ხეობაში 4-5 პატარა სოფელი, უწერა, ჯინჭვისი და ა. შ. სწორედ ამ სოფლებში იგეგმება აღნიშნული პროექტის განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს დაცულ ტერიტორიაზე მოსული ვიზიტორისთვის გარკვეული სერვისების შეთავაზებას.

ამბროლაურს არ აქვს მსგავსი ტერიტორიები, თუმცა, როგორც სააგენტომ აღნიშნა, აქ სამომავლოდ იგეგმება ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება. ამბროლაურს ამის პოტენციალი აქვს, რომ მარტვილის კანიონის მსგავსი ტურისტული პროდუქტი შეიქმნას. თუმცა საჭიროა კონცეფციის შექმნა. როგორც სააგენტოსთან საუბრისას გახდა ცნობილი, დონორი ორგანიზაციის მიერ უკვე დაფინანსებულია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, როგორც სოციო-ეკონომიკურ კომპონენტს, ასევე ზემოაღნიშნული პარკის განვითარებას.

ონის მუნიციპალიტეტში დაცული ტეროტორია მხოლოდ შემოღობილია და შიგნით ჯერ არაფერია გაკეთებული. კანონით აღიარებულია მხოლოდ საზღვრები. საჭიროებს განვითარებისა და კეთილმოწყობის სამუშაოებს.

იმისათვის, რომ მოსახლეობამ დაინახოს დაცული ტერიტორიების დადებითი როლი, მნიშვნელოვანია მათთან ერთად მუშაობა და მათთვის დახმარების გაწევა.

დაცული ტერიტორიების სააგენტომ როგორც აღნიშნა, გამოცდილებიდან გამომდინარე, იმასთან შედარებით, რაც კლასიკურად უკვე არსებობს (ბორჯომ-ხარაგაული, თუშეთი, ლაგოდეხი), დამატებით განსხვავებული ზემოთ აღნიშნულ დაცულ ტერიტორიაზე არაფერი არ იქნება. ძირითადი აქცენტი გაკეთდება ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის აქტივობების განხორციელების შესაძლებლობებზე. მიზანი იქნება, ბუნებაში მოგზაურებისთვის შეიქმნას მინიმალური ინფრასტრუქტურა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პარკისთვის დონორი ორგანიზაცია უკვე არსებობს, დამატებით საჭირო იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელშეწყობა, რათა ტურისტული სერვისების განვითარება შეძლონ. როგორც სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, სახელმწიფოს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს არ აქვს მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

დაცული ტერიტორიების შემთხვევაში, ისევე, როგორც სხვა ყველა შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესია რეკლამა და ცნობიერების ამაღლება. შეხვედრისას აღინიშნა, რომ დაცული ტერიტორიების რეკლამირებას ახდენს სახელმწიფო საერთაშორისო გამოფენებზე მონაწილეობის გზით. არსებული ბუკლეტის და რუკის საშუალებით დამთავლიერებელი ნათლად ხედავს შემოხაზულ მარშრუტს. შესაბამისად, ვიზიტორი ყოველთვის აქცენტს აკეთებს დაცულ ტერიტორიებზე, ვინაიდან ის დარწმულებულია, რომ დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრში მას დახვდება ინგლისურად მოსაუბრე თანამშრომელი, რომელიც მისთვის გასაგებ ენაზე აუხსნის ყველაფერს; მინიმუმ იქნება ტურისტული ბილიკი, იქნება ღამის გასათევი, თუნდაც კარავში, იქნება ცეცხლის დასანთები ადგილი, გადაადგილების დროს იქნება რეინჯერი, რაც, საჭიროების შემთხვევაში, მისი უსაფრთხოების გარანტიაა. აქედან გამომდინარე, დაცული ტერიტორია ბუნებაში მოგზაურებს ერთ სივრცეში სთავაზობს უსაფრთხოდ გადაადგილების შესაძლებლობას.

დაცული ტერიტორიების სააგენტო ქმნის პროდუქტს, შემდეგ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე ახდენს შექმნილი პროდუქტის პოპულარიზაციას; თუმცა ადგილზე ჩამოსულ ტურისტს სჭირდება თანმხლები პირი (სურვილისამებრ) ანუ გიდი, რომელიც უნდა იყოს აუცილებლად ადგილობრივი, ამ უკანასკნელს კი სჭირდება შესაბამისი სწავლება. მან კარგად იცის თავისი გარემო, თუმცა ქცევისა და ეთიკის მინიმალურ სტანდარტსაც უნდა აკმაყოფილებდეს. მაგალითად, რა არ უნდა უთხრას სტუმარს მისი კულტურული თავისებურებიდან გამომდინარე. დასახვეწია საკომუნიკაციო უცხო ენა. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია ადამიანური რესურსის ჯერ მოზიდვა, ვინაიდან ძალიან მცირეა, ხოლო შემდეგ მათი გადამზადება. უნდა მოხდეს იდენტიფიკაცია, ვის რისი რესურსი

აქვს და ამის მიხედვით შეიქმნას შესაბამისი პროდუქტი, რომელსაც შესთავაზებენ უცხოელ ვიზიტორს, შეძლებენ თავიანთი სერვისის სწორად წარდგენას და გაყიდვას.

ამასთანავე, არსებობს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობაში არსებული ტერიტორიებიც, რომელებიც, წესით, უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ სტანდარტს, უნდა იყოს დასუფთავებული; მუნიციპალიტეტის ჩართულობა, როგორც ცნობილია, ამ ეტაპზე არის მინიმალური.

რაც შეეხება საცხენოსნო ტურიზმს, ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებს მინიმუმ სტანდარტსაც კი. არ არის დაცული სისუფთავე, ტექნიკურად ბოლომდე უსაფრთხოდ აღჭურვილი არ არის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სერვისის მეტად დახვეწა.

გარდა ამისა, ის რესურსი, რაც აქვთ ადგილობლივებს, თავისთავად საჭიროებს სწორ შეთავაზებას, სწორ წარდგენას. მაგალითად, მწარმოებელმა, რომელმაც იცის, როგორ აწარმოოს თაფლი, არ იცის როგორ გაყიდოს, როგორ მოიზიდოს მეტი მომხმარებელი. საუბრისას სააგენტოს წარმომადგენელმა მოიყვანა მტირალას ეროვნულ პარკის მაგალითი იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ უნდა მოხდეს პროდუქტის შეთავაზება, რათა ადგილობრივმა მოსახლეობამ მიიღოს მეტი სარგებელი. მტირალას ეროვნულ პარკში წარმოებულ თაფლს პროექტის ფარგლებში ყიდიან თაფლის მაღაზიაში, ჩაქვში; პროექტი მიზნად ისახავდა იმ ფერმერების დახმარებას, ვინც ვერ ყიდდა თავის ნაწარმს. თაფლი ჩამოისხა პატარა (200-გრამიან) ქილებში, ზედ დაეწერა წარმომავლობა, მეწარმის საკონტაქტო ინფორმაციის ჩათვლით, რათა მიკვლევადობა ყოფილიყო მარტივი. ამან ხელი შეუწყო კონკრეტული მეწარმის თაფლის პოპულარიზაციას. უცხოელი ვიზიტორი დარწმუნებულია, რომ ეროვნული პარკიდან შეძენილი თაფლი არის ეკოლოგიურად სუფთა და სანდო. ეროვნული პარკის საშუალებით მოხდა მყიდველისა და მწარმოებლის დაკავშირება. ზემოაღნიშნული მაგალითი კარგი მოდელია სხვა მეწარმეებისთვისაც და რეკომენდაციის ხასიათსაც ატარებს.

საუბრისას აღინიშნა უმთავრესი პრობლემა: ტურისტები მოდიან ადგილზე, მაგრამ ვერ ვახარჯვინებთ ფულს. როგორც სააგენტოსთან საუბრისას აღინიშნა, მასიური სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებით საქართველო ვერ გაუწევს კონკურენციას ირანსა და მეზობელ გიგანტ თურქეთს. სააგენტოს აზრით, ჩვენი ნიშა უნდა იყოს ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა, შედარებით ლიმიტირებული და ხარისხიანი ადგილობრივი წარმოების პროდუქტები.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეკომენდაციები მდგომარეობდა შემდგომში:

- ადგილზე წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი უნდა გაიყიდოს სწორ ლოკაციაზე და არა ბაზარში;
- ადგილობრივ მოსახლეობაში უნდა ამაღლდეს ცნობიერება ნაკლები შხამ-ქიმიკატების გამოყენებისა და მიღებული რაოდენობრივად მცირე მოსავალის ვიზიტორებზე სარფიანად გაყიდვის შესახებ;
- უნდა მოხდეს ადგილობრივი თემების საჭიროების და შესაძლებლობების იდენტიფიცირება; ვის რა მოთხოვნა აქვს და რეალურად რისი შესაძლებლობაა; საწყის ეტაპზე ამ მიმართულებით უნდა დავეხმაროთ ადგილობრივებს იმის განსაზღვრაში, რა უნდა გააკეთონ, რა არის მათი ნიშა, როგორ აწარმოონ საკუთარი პროდუქტი სწორად და ბოლოს, როგორ გაყიდონ;

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და საკვანძო საკითხად ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, მიგვაჩნია მურადის მღვიმის, როგორც უნიკალური ტურისტული პროდუქტის განვითარება. ამის შესახებ კითხვით მივმართეთ დაცული ტერიტორიების სააგენტოს. მღვიმე მასიური ტურიზმისთვის გამოუსადეგარი ადგილი, ვინაიდან რთულად მისადგომია. ბოლომდე გამართული ვიზიტორი მღვიმეში ვერ შევა. დიდ, მთავარ დარბაზამდე მისასვლელად საჭიროა რთული ლაბირინთების გავლა, რაც შესაძლებელია ხელოვნურად მისასვლელის გაჭრით. თუმცა ამ შემთხვევაში წინასწარ რთულია იმის პროგნოზირება, ეს რა ზიანს გამოიწვევს უშუალოდ იმ ბურთებისთვისაც, რომლებიც მღვიმის მთავარი სანახაობაა. თუმცა შეიძლება მოხდეს სწორი დიფერენციაცია ექსტრემალური ტურიზმისთვის და არ იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი. იყოს ძვირადღირებული პროდუქტი, გიდმა დღეში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი წაიყვანოს, ისიც წინასწარი დაჯავშნის საფუძველზე და იყოს კონკრეტული სეგმენტისთვის გათვლილი.

კვლევის კონსულტანტების ხედვით, აღნიშნული მღვიმე საჭიროებს სერიოზულ შესწავლას, ყველა შესაძლებლობისა და სავარაუდო საფრთხის სიღრმისეულ ანალიზს, სწორ შეფასებებს.

ამბროლაურის ტურისტული საინფორმაციო ცენტრთან ინტერვიუ აღმოჩნდა საკვანძო და მრავალმხრივ საინტერესო კვლევის კონსულტანტებისთვის. ცენტრის მიერ ჩვენთვის გაზიარებული ტურიზმის განვითარების კონცეფცია ერთობ მნიშვნელოვანია ამ კვლევისთვის. მასში დასახული პრიორიტეტები აისახა ჩვენს კვლევაშიც და გამოყენებულ ლიტერატურაშიც მითითებულია.

როგორც ამ კონცეფციაშია აღნიშნული: „ეკოტურიზმის და აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტად დასახვა მნიშვნელოვან ეფექტს იქონიებს მუნიციპალიტეტის სოციო-ეკონომიკურ განვითარებაზე“. ტურისტული საინფორმაციო ცენტრი მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მხრივ და ეს ყოველივე თავმოყრილია ზემოხსენებულ კონცეფციაში. შესაბაისად, ეს კონცეფცია არსებითად მნიშვნელოვანი იყო კვლევის პროცესში და ინფორმაციის წყაროდ იქნა გამოყენებული.

ამბროლაურის ტურისტულ ცენტრს გააჩნია 7 მარკირებული საფეხმავლო ბილიკი: სადმელი-რიცეულას, საყინულე-ჭელიშის მონასტერი, კრიხი, ველიეთი, საკიშორე- კიდობანა, ზნაკვა, ქვაბტკრის- „სიყვარულის ჩანჩქერი“, „პატარძლის ჩანჩქერი“;

კიდევ დადგეგმილია 5 ახალი საფეხმავლო ბილიკის დამატება, რომელიც ტურისტული ცენტრის ინფრასტრუქტურის დაქვემდებარებაში იქნება. უკვე პროცესშია ორი ახალი ბილიკის ინფრასტრუქტურის მოწყობა. ასევე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხლში, მდინარე ბარულას ხეობაში, ამ თვალსაზრისიც საინტერესო პროდუქტია: 4 ჩანჩქერი და ულამაზესი ხეობა, რომელიც თავის დროზე თამარ მეფემ მოინახულა მრავალძლის ტაძრის მოლოცვისას. აგრეთვე, სოფელ ბაჯში არსებული მღვიმე და ტურისტებისთვის მომხიბვლელი და საინტერესო ხეობა. დანარჩენ 3 ბილიკზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა. ამდენად, პოტენციალი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის პროდუქტებისა საკმაოდ დიდია სამიზნე არეალში. კონცეფციაში აღნიშნულია, ასევე, ეკო-ტურისტული ინფრასტრუქტურის უკვე მზა პროეტებიც, რომლებიც დაფინანსებას საჭიროებს (საფეხმავლო და ბეწვის ხიდების, რაჭული ეთნოსის სტილში ხის ფანჩატურების, პანორამული გადმოსახედებისა და ა.შ. მოწყობა).

მეორე ვიზიტი კვლევის კონსულტანტების მიერ განხორციელდა ონსა და ამბროლაურში. ამჯერად ამ ვიზიტის მიზანი იყო სამიზნე არეალში არსებული ეკო და სათავგადასავლო პროდუქტებისა და ტურისტული მომსახურების მომწოდებლების საველე კვლევა ან სატელეფონო გამოკითხვა (სეზონურად მომუშავე ობიექტებისა, რომლებიც ადგილზე არ იმყოფებოდნენ); ასევე ინტერვიუები გიდებთან, შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან.

მესამე ვიზიტი განხორციელდა ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში. ამ ვიზიტის მიზანსა, ასევე, წარმოადგენდა არსებული ეკო და სათავგადასავლო პროდუქტებისა და ტურისტული მომსახურების მომწოდებლების საველე კვლევა ან სატელეფონო გამოკითხვა (იხ. დანართი 1.)

საკვლევ რესპონდენტებად განისაზღვრნენ სამიზნე არეალში არსებული ტურისტული მომსახურების მომწოდებლები, რომლებიც გამოვლინდნენ სხვადასხვა წყაროების მეშვეობით. კერძოდ, ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAG) ხელმძღვანელებთან, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაში რეგისტრირებულ მეწარმეებთან, დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრებზე გამოვლენილ და საველე კვლევისას იდენტიფიცირებულ ტურისტული მომსახურების მომწოდებელებთან, რომელთა შეფასება განხორციელდა:

- ადგილზე ჩაღრმავებული ინტერვიუს გზით, საწარმოს ტიპის გათვალისწინებით;
- ადგილზე სპეციალურად შემუშავებული კითხვარების შევსების გზით;
- სატელეფონო ინტერვიუს გზით რესპონდენტთან, რომელიც ადგილზე არ იმყოფებოდა ობიექტის მუშაობის სეზონურობიდან გამომდინარე;

კითხვარი მიზნად ისახავდა შემდეგი ძირითადი ასპექტების გამოვლენას:

- ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის სფეროში პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- მარკეტინგი: გაყიდვები და ახალი პროდუქტის განვითარება;
- ტურიზმის სფეროში არსებული მთავარი პრობლემების/გამოწვევების იდენტიფიცირება;

კვლევის შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ფაქტორები:

- რესპონდენტთა მხრიდან საველე ჯგუფის წევრების აღქმა, როგორც დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და შესაბამისად, მათი მხრიდან გადაჭარბებული ინფორმირება, რაც გამოწვეული იყო შემდგომი დაფინანსების იმედით;
- გამოკითხულთა სიმცირე;

- ნდობის დაბალი მაჩვენებელი მსგავსი კვლევების სარგებლიანობასთან მიმართებით;

კვლევის ფარგლებში ჯამში ონისა და ამბლორაულის მუნიციპალიტეტებში გამოიკითხა 19 რესპოდენტი. ინტერვიუ ჩატარდა 6 რესპოდენტთან. სამიზნე ჯგუფში შედიოდნენ ტურისტული მომსახურების მომწოდებლები. კერძოდ, განთავსებისა და კვების ობიექტები, აგრომეურნეობები, ტრადიციული რეწვის ოსტატები და გაქირავების მომსახურებები. ინტერვიუს ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენდა 30-45 წუთს.

ინტერვიუსა და კითხვარებით გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა სამიზნე არეალის ტურისტული სექტორის შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მიღებული მონაცემების საფუძველზე ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ქმედებების განსაზღვრა.

გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია დაგვეხმარა საკვანძო საკითხების გამოკვეთაში.

კვლევის კონსულტანტების კითხვაზე, თუ რა სახის უკვე არსებული უნარ-ჩვევები შეიძლება გადავიდეს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმში, რესპოდენტებს მეტ-ნაკლებად გაუჭირდათ პასუხის გაცემა, ვინაიდან თითქმის არც ერთ ტურიზმის სექტორში დასაქმებულ პირს ან დაწესებულებას არ აქვს პაკეტების შეთავაზების სერვისი, რაც, თავის მხრივ, უცილობელი პირობაა, რათა ტურისტი უფრო ხანგრძლივად დარჩეს აღნიშნულ მხარეში.

სასტუმროს მეპატრონეების გამოკითხვამ ცხადყო, რომ ტურისტების 80% ერთი ღამით რჩება სამიზნე არეალში, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია მხარის პოტენციალიდან გამომდინარე. ამას, უმთავრესად განაპირობებს ის, რომ არ არსებობს ტურისტული პროდუქტების პაკეტის სახით შეთავაზება.

დაინტერესებულმა მხარეებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აუცილებელი იქნება საწყის ეტაპზე უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების სრული ინფორმირება ეკო და სათავგადასავლო ტურიზმისგან გამოწვეული დადებითი და უარყოფითი შედეგების შესახებ. საზოგადოებას კარგად უნდა ესმოდეს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ცნებები, ტურიზმისა და ტურისტების გავლენა ბუნებრივ და კულტურულ ფასეულობებზე, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მომავალ წარმატებაზე ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში, შეთავაზებებისა და მოთხოვნების კონცეფციები, ასევე, სარგებელი, რომელიც შეიძლება მიიღოს საზოგადოებამ პროექტებისა და პარტნიორობის მეშვეობით.

მნიშვნელოვანი იყო იმის აღიარება, რომ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებიდან მიღებული შემოსავალი უნდა გადანაწილდეს თანაბრად. ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა ხელი უნდა შეუწყოს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიზნების მიღწევას, ბუნების დაცვასა და საზოგადოების განვითარებას.

დაინტერესებულმა მხარეებმა ასევე გააცნობიერეს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, წინ წამოწევის მნიშვნელობა. საჭირო იქნება ეფექტური რეკლამა ამ მხარის მონახულების წასახალისებლად, ტურისტების ზუსტი ინფორმაციით უზრუნველყოფა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის შესაძლებლობების შესახებ. მხარის მრავალ ღირსშესანიშნაობას ექნება შემდგომი განვითარების პოტენციალი როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ეკო და სათავგადასავლო ტურიზმისთვის. თემების შესაძლებლობა, პოპულარიზაცია გაუწიონ მხარეში ტურიზმის განვითარებას, მინიმალურია. ტუროპერატორები კი ამ რეგიონს არ ჰყავს, რაც დიდი ხარვეზია ტურიზმის განვითარების საქმეში, ვინაიდან ტუროპერატორის წვდომა ტურისტული ინდუსტრიის მომხმარებლებთან და ქსელებთან მას თემებთან შედარებით მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს. ტურისტებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად ტუროპერატორის სერვისების გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მდგრადობა თემებში.

ასევე, ყველა დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნა, რომ დასაწყისისთვის აუცილებელია ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის შესახებ წინადადების შემუშავება. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისათვის ფინანსური და არაფინანსური მხარდაჭერის მიღება შესაძლებელია როგორც ადგილობრივი და ეროვნული მთავრობების, დონორების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო დაინტერესებული მხარეებისგან. ეს მოიცავს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ წინადადებების შემუშავებას შესაბამის უწყებებსა და დაწესებულებებში წარსადგენად, ასევე, წინადადებას საზოგადოების მიერ განსაზღვრული ახალი პროდუქტების შემუშავების შესახებ (საფეხმავლო ბილიკები, ოჯახებში ცხოვრება და ა.შ.), წინადადებას იმ სასწავლო კუ-

რსების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია წინასწარ განსაზღვრულ მომსახურებასთან, როგორიცაა გიდები, უცხო ენა, ეკოლოგიური სწავლება, მომხმარებელთა მომსახურება, ასევე წინადადებას გარკვეული პროდუქტებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის შესახებ.

შესაბამისად, კვლევის ამ ეტაპზე გამოიკვეთა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ოთხი უმნიშვნელოვანესი ხელშემშლელი ფაქტორი, რაზეც ყურადღება გაამახვილა ყველა დაინტერესებულმა მხარემ. ესენია:

- კვალიფიციური კადრების და ზოგადად, ადამიანური რესურსის დეფიციტი;
- არასათანადოდ გამართული ინფრასტრუქტურა;
- პაკეტების შეთავაზების სირთულე;
- მარკეტინგი

# 6 სოფლის მეურნეობა

2014-2021 წლებისთვის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, სოფლის მეურნეობაში ამ რეგიონში შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი, 24,1 ათასი ადამიანია დასაქმებული. ისინი, ძირითადად, თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან. სოფლის მეურნეობა არ არის სათანადოდ მოდერნიზებული და ძირითადად, ნატურალური მეურნეობის ნიშნებს ატარებს. უმეტესწილად, იგი ორიენტირებულია კომლის სასურსათო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. მნიშვნელოვანი დისპროპორცია შეინიშნება დასაქმებულთა რაოდენობასა და პროდუქციის მოცულობას შორის. რეგიონი მცირემიწიანია. გარდა ამისა, რელიეფისა და სხვა ფაქტორების გამო, იგი გამოირჩევა ფართობების ფრაგმენტაციით, რაც ართულებს მეურნეობების გაზრდას. რეგიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტრატეგიული მიმართულებაა მევენახეობა, რომელიც, ძირითადად, ამბროლაურისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებშია წარმოდგენილი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში აგროტურიზმის პოტენციალს განსაზღვრავს მისი ენდემური ვაზის ჯიშები და ღვინის ხარისხი. ბოლო წლებში საგრძნობლად განვითარდა ღვინის მარნები და სასტუმრო სახლები. უკეთესი იქნება, მეტი ყურადღება გამახვილდეს ტურისტული სერვისების ხარისხზე და დივერსიფიკაციაზე.

რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო მოცულობა, იმავე სტრატეგიის მონაცემების მიხედვით, 108,8 ათას ჰექტარს შეადგენს. კომლების უმრავლესობას საკუთრებაში1,25 ჰექტარზე ნაკლები მიწა აქვს. საძოვრებზე მოდის სავარგულების 66%, სახნავ-სათესზე – 7%, სათიბზე – 23%, ხოლო მრავალწლიან ნარგავებზე – 4%. რეგიონის ერთ-ერთი პრობლემაა აუთვისებელი სავარგულები. აუთვისებელი ფართობები 84,7 ათას ჰა-ს, ანუ მთლიანი სავარგულების 78%-ს შეადგენს, საიდანაც დეგრადირებულია სათიბების 25% და საძოვრების 10%. გარდა ამისა, გამოუყენებელია 1166 ჰა სახნავი. სახელმწიფო და დეგრადირებული სავარგულების ათვისება როგორც სათიბ-საძოვრებად, ისე სახნავად, რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის მნიშვნელოვან პოტენციალს წარმოდგენს.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი შიდა გზების დიდი ნაწილი რეაბილიტაციას საჭიროებს. კლიმატური პირობებიდან და სასოფლო-სამეურნეო მიწის სპეციფიკიდან (რეგიონის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უმეტესობას სათიბ-საძოვრები შეადგენს) გამომდინარე, რეგიონში საირიგაციო სისტემები არ არსებობს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მორწყვას არ ექვემდებარება. თუმცა, მოსახლეობა საკარმიდამო ბაღ-ბოსტნების მოსარწყავად ზაფხულის გვალვიან პერიოდში აქტიურად იყენებს სასმელი წყლის სისტემებს და ბუნებრივ წყაროებს, რაც რიგ სოფლებში, სადაც სათავე ნაგებობებს შედარებით მცირე დებეტი აქვს, სეზონურად, წყლის მიწოდების პრობლემას ქმნის.

რეგიონში აღრიცხული არ არის სასოფლო-სამეურნეო მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი.

*(წყარო: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის).*

## მემცენარეობა

რეგიონში მემცენარეობის პრიორიტეტული მიმართულებაა მევენახეობა, რომელიც წარმოდგენილია ამბროლაურისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში. ერთწლიან კულტურებში ძირითადი ადგილი უკავია სიმინდს და ლობიოს (რეგიონში ლობიო, ძირითადად, სიმინდთან ერთად ითესება) წარმოე-

ბას. რეგიონში მემცენარეობის პროდუქტიულობა ძალზე დაბალია, რასაც განაპირობებს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაბალი ინფორმირებულობა, შრომის დაბალი ორგანიზებულობა, მოძველებული და ამორტიზებული გენეტიკური მასალა, ფინანსების არასათანადო ხელმისაწვდომობა, ექსტენციისა და მომსახურების ცენტრების სიმცირე, სავარგულების დეგრადაცია და ამორტიზება, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, მიმღები და გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე და სხვ.

(*წყარო: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის*).

## მეცხოველეობა

მეცხოველეობა მხარეში ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენს და ის ფერმერთა ძირითადი შემოსავლის წყაროა. რეგიონში მეცხოველეობა, ძირითადად, წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით და შესაბამისად, მეცხოველეობის ძირითადი მიმართულება ხორცისა და რძის წარმოებაა. რეგიონში დამზადებული ხორცისა და რძის პროდუქტი არის ეკოლოგიურად სუფთა, გემრიელი და ჯანსაღი.

თუმცა შეიმჩნევა საქონლის სულადობის საგრძნობი კლება ყოველწლიურად, რაც, ძირითადად, მოსახლეობის მიგრაციით და საქონლის საკვები ბაზის დეფიციტითაა განპირობებული. აღსანიშნავია, რომ მიწის რესურსი (სათიბები და საძოვრები) რეგიონში საქონლის სულადობის გაორმაგების საშუალებას იძლევა.

რეგიონში შედარებით სუსტადაა განვითარებული მეღორეობა და მეფრინველეობა, რაც, ძირითადად, რამდენიმე წლის წინ საქართველოში ქათმის გრიპისა და ღორის აფრიკული ციებცხელების გავრცელებას უკავშირდება. ღორის სულადობის კლება 2007 წლიდან დაიწყო. თუმცა, 2011 წელს, 2007 წელთან შედარებით, ღორის რაოდენობა გაორმაგდა და 3,8 ათას სულს მიაღწია.

*(წყარო: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის).*

ერთ-ერთი ინტერვიუს დროს აღინიშნა რაჭული ღორის გადაშენების პირას ყოფნის საფრთხე. მოგეხსენებათ, რაჭული ღორის მთელს უნიკალურობას სწორედ ის წარმოადგენს, რომ ადგილობრივ საძოვრებზე გაზრდილი ღორის ხორცით კვეთდება. აღნიშნული პრობლემა კი საფრთხის ქვეშ აყენებს ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტის არსებობას, რომელიც ამ მხარის სამზარეულოს უნიკალურობას წარმოადგენს და აგროტურიზმისთვის უმნიშვნელოვანესია.

ერთობ მნიშვნელოვანია, ამ მხრივ სათანადო ღონისძიებების გატარება.

2014-2021 წლებისთვის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების იმავე სტრატეგიის მიხედვით, რეგიონში არ არსებობს მეფრინველეობის ფერმები. მეფრინველეობას მისდევენ ოჯახურ მეურნეობებში. მეფრინველეობის განვითარების კარგი პოტენციალი აქვს ამბროლაურისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებს.

ოთხივე მუნიციპალიტეტში ფართოდ არის გავრცელებული მეფუტკრეობა. აქაური თაფლი გამორჩეულია გემური და სამკურნალო თვისებებით, რაც გამოწვეულია ხე-მცენარეებისა და ყვავილოვანი მცენარეების არაერთგვაროვნებით.

რეგიონში არსებული წყალსაცავები, განსაკუთრებით კი შაორის წყალსაცავი და არსებული მთის ცივი მდინარეები განაპირობებს **მეთევზეობის მეურნეობების** არსებობას. **მეცხენეობის** განვითარების ტენდეციებიც შეინიშნება, რაც ნაკლებად დამახასიათებელია სხვა რეგიონებისთვის. ცხენით ჯირითი კი სათავგადასავლო ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

სოფლის მეურნეობის **გადამამუშავებელი საწარმოები**, ძირითადად, წარმოდგენილია ალკოჰოლური და მეცხოველეობის პროდუქტის მწარმოებელი ქარხნების სახით.

**მიმღები და გადანაწილების ცენტრები**, იმავე სტრატეგიის მონაცემებით, რეგიონში არ არსებობს. რეგიონის მთაგორიანი რელიეფიდან გამომდინარე, დიდი მოცულობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არ გვხვდება და აქედან გამომდინარე, რეგიონში წარმოებული პროდუქცია (ყურძენი, ხილი, სიმინდი, ლობიო და სხვ.) დიდი მოცულობის სასაწყობე-სამაცივრე მეურნეობის შექმნას არ საჭიროებს.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიიის მიხედვით, ცაგერის მუნიციპალიტეტში არის **სანერგე მეურნეობა**, სადაც გამოჰყავთ უნიკალური ჯიშის ვაზის ნერგები, ხოლო მცირე ზომის **სატბორე მეურნეობები** არის როგორც ონის (სოფ. შარდომეთი), ისე ცაგერის (სოფ. ქვემო ცაგერი) მუნიციპალიტეტებში.

# 7

# პროვინციული სემინარი/შეხვედრა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის შესახებ

დაინტერესებულ მხარეთა ფოკუს ჯგუფთან შეხვედრა კვლევის კონსულტანტებმა გამართეს მაისისა და ივნისის თვეში ოთხივე მუნიციპალიტეტში. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი კვლევისთვის საინტერესო რესპოდენტები სხვადასხვა სოფლებში ცხოვრობდნენ, რის გამოც რთული აღმოჩნდა მათი ერთად თავმოყრა, ცალ-ცალკე ინდივიდუალური შეხვედრები ჩავატარეთ ადგილზე მისვლით. ამან საშუალება მოგვცა, უშუალოდ გვენახა სხვადასხვა ტიპის საწარმოები და მათი საჭიროებები. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა მიზნად ისახავდა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების განხილვას და იმის გარკვევას, სურდათ თუ არა ეკოტურიზმის განვითარება ამ ტერიტორიაზე და რა ესახებოდათ განვითარების გზებად.

შეხვედრების პირველი ნაწილი მოიცავდა SWOT ანალიზს (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები). რესპოდენტები კვლევის კონსულტანტებთან ერთად ავსებდნენ კითხვარებს. საჭიროებიდან გამომდინარე იმართებოდა სიღრმისეული ინტერვიუები. კვლევის კონსულტატების მიერ აღნიშნული და აღრიცხული იქნა ყველა პასუხი, რის საფუძველზეც მოხდა SWOT ანალიზი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისთვის (იხ. დანართი 2.).

დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების მეორე ნაწილში ყურადღება გამახვილდა რეგიონის ძლიერი მხარეების შეფასებაზე, რაც თავის მხრივ, იქცა ერთგვარ გზამკვლევად იმის განსაზღვრისას, თუ რა ტიპის განვითარებას საჭიროებს და რა სისუსტეები და საფრთხეები უნდა დაიძლიოს განვითარების ამ გზაზე. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მათეული გაგების საფუძველზე მონაწილეებს ვთხოვეთ, განეხილათ ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ამ პროცესის საბოლოო შედეგი იყო დაინტერესებულ მხარეთა რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ სურდათ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება და მათი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ამ ტიპის ტურიზმი იყოს წარმატებული. აღნიშნული შეხვედრები იყო პირველი ნაბიჯი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმში საზოგადოების ჩართულობის მხრივ. ამდენად, სემინარზე მიღებული შედეგები გახდა შემდგომი მსჯელობებისა და კონსულტაციების საფუძველი.

# 8 ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის შესახებ შეხვედრების შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის კონსულტანტები წააწყდნენ არაერთ წინაღობას იმ თვალსაზრისით, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ბოლომდე კიდევ არ ჰქონდა გააზრებული ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მნიშვნელობა და შესაბამისად, არც ის ესმოდათ ბოლომდე, რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს თემს მისმა განვითარებამ, ჩვენ მიერ ყველა ცნების დეტალური განმარტებისა და დამატებით ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ შეხვედრის მონაწილეებმა გასცეს მთელი რიგი რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდათ განვითარდეს, მათი ხედვით, ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ იგი წარმატებული იყოს. ეს რეკომენდაციები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად კატეგორიად: ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი, თემი და ბუნებრივი რესურსების მართვა.

# 9

# ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი

ვინაიდან ბუნებრივი რესურსები ნების-მიერი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების წარმატების საკვანძო ფაქტორია, დაინტერესებულმა მხარეებმა დაადგინეს, რომ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის წარმატებით განვითარებისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ბუნებრივი რესურსების დაცვა და კონსერვაცია. ბუნებრივი რესურსების დაცვისას თემები ხშირად კარგავენ გარკვეულ სარგებელს, რაც ჩვეულებრივ ასოცირდება საზოგადოების უუნარობასთან, გააფართოვოს ან გამოიყენოს არსებული რესურსები ან სასოფლო-სამეურნეო შესაძლებლობები. შედეგად, საჭიროა საქმიანობის ალტერნატიული ფორმების მოძიება. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც საარსებო საშუალების მიღებისა და შენახვის სტრატეგია და იგი იქცეს გარემოს დაცვის სტიმულად ტურიზმისთვის. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება დიდწილად შეუწყობს ხელს დასაქმების უფრო მდგრადი ფორმების შექმნას, ვინაიდან თემი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმით სარგებელს ნახულობს. შესაბამისად, იგი უფრო მეტად იგრძნობს პასუხისმგებლობას, დაიცვას მის ირგვლივ არსებული ბუნებრივი რესურსები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ როგორ იყენებს თემი თავის ბუნებრივ რესურსებს და რა გავლენას ახდენს ამ რესურსების გამოყენება და დაცვა საარსებო წყაროსა და ბუნების დაცვაზე. ამისათვის კი არსებითად მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემების ინფორმირებულობა, მათი ცნობიერების ამაღლება ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ.

დაინტერესებული მხარეები ტურიზმს განიხილავენ, როგორც ეკონომიკური სარგებლის წყაროს, რომელიც ზრდის შემოსავალს და სამუშაო ადგილებს. ამის შედეგად კი უმჯობესდება სოციალური პირობები. მათ განსაზღვრეს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმთან დაკავშირებული არაერთი შესაძლო საქმიანობის სახეები, როგორიცაა ხელოსნობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ასევე ხაზი გაუსვეს სოფლის მეურნეობის ტურიზმთან დაკავშირების აუცილებლობას და შესაძლებლობას (მეთევზეობა, მესაქონლეობა, მებაღეობა, მევენახეობა). სოფლის მეურნეობის ტურიზმთან დაკავშირებაში ხელშემწყობი შეიძლება იყოს ფერმერებისთვის გარკვეული სახის ტრენინგების ჩატარება, ბაზრებზე ხელმისაწვდომობა, გადამუშავებისა და ტრანსპორტირების გამარტივება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა წარმოების დასაწყებად ან გაფართოებისთვის და წარმოებისთვის საჭირო მასალებზე წვდომა, მაგალითად, როგორიცაა თესლები, ნერგები, სასუქები და ა.შ. ეკონომიკური სიდუხჭირე საგრძნობლად დიდია რეგიონში, რაც თრგუნავს მეწარმეს და სამომავლოდ ქმედების სურვილს უქვეითებს. უმოტივაციობა ნეგატიურად მოქმედებს ახალგაზრდებზე, რომლებიც კარგავენ ინტერესს და ხშირ შემთხვევაში ტოვებენ რეგიონს.

თუ ეკოტურიზმს შეუძლია უზრუნველყოს შემოსავლის უფრო მაღალი დონე თემებისთვის ან ეფექტურად შეავსოს არსებული საარსებო წყაროები, მაშინ ეს შეიძლება იყოს ძლიერი ეკონომიკური დასაბუთება მისი განვითარებისთვის. ეკოტურიზმის მეშვეობით შემოსავლის უფრო მაღალი დონის მიღწევამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი ეკონომიკური სტიმული რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის დასაცავად და ახალგაზრდების რეგიონში დაბრუნებისთვის.

დაინტერესებულმა მხარეებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აუცილებელი იქნება საწყის ეტაპზე უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების სრული ინფორმირება ტურიზმისგან გამოწვეული დადებითი და უარყოფითი შედეგების შესახებ. საზოგადოებას კარგად უნდა ესმოდეს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ცნებები, ტურიზმისა და ტურისტების გავლენა ბუნებ-

რივ და კულტურულ ფასეულობებზე, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკოტურიზმის მომავალ წარმატებაზე ამ რეგიონში, შეთავაზებებისა და მოთხოვნების კონცეფციები, ასევე, სარგებელი, რომელიც შეიძლება მიიღოს საზოგადოებამ პროექტებისა და პარტნიორობის მეშვეობით.

მნიშვნელოვანი იყო იმის აღიარება, რომ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებიდან მიღებული მოგება უნდა გადანაწილდეს თანაბრად. ტურიზმიდან მიღებულმა მოგებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიზნების მიღწევას, ბუნების დაცვასა და საზოგადოების განვითარებას. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმიდან მიღებული სარგებლის მკაფიო და გამოკვეთილი სახელმძღვანელო პრინციპებმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ მოგება უშუალოდ თემის ხელში გადავა, მიმართული იქნება იმათკენ, ვინც ამ მოგებას საჭიროებს და საზოგადოება შეინარჩუნებს კონტროლს საკუთარ რეგიონში ტურიზმის ზრდაზე. როდესაც ფინანსური სარგებელი მთელ საზოგადოებაში თანაბრად ნაწილდება, ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი უკეთ აღიქმება და განიხილება, როგორც საარსებო საშუალებებისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების საშუალება. გარდა ამისა, დაინტერესებულმა მხარეებმა აღიარეს, რომ აუცილებელია საზოგადოების მონაწილეობისთვის სტიმულის შექმნა, როგორიცაა, მაგალითად სასწავლო კურსები და კრედიტები.

# 10 თემი

დაინტერესებულმა მხარეებმა, ასევე, აღნიშნეს ადამიანური რესურსების განვითარებისა და ადგილობრივი პოტენციალის გაზრდის აუცილებლობა ტურიზმის სფეროში, ამასთანავე, ბუნებრივი რესურსებისა და დაცული ტერიტორიების შესახებ ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში სოფლის მაცხოვრებლებთან კონსულტაციების საშუალებით საზოგადოებას საშუალება ექნება, უკეთ გაიაზროს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები და ბუნებრივი რესურსების დაცვის გზები. ასევე, გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ძირძველი მოსახლეობის კულტურისა და ტრადიციების გაძლიერება მნიშვნელოვანია ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების დაწყებამდე. დაბოლოს, სოფლების კეთილმოწყობა განხილული იქნა, როგორც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი სოფლებში ტურისტების მოზიდვის საქმეში.

# 11

## ბუნებრივი რესურსების მართვა

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი მდიდარია წყლის რესურსებით. წყლის ძირითადი არტერიებია: ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში მდ. რიონი თავისი შენაკადებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტში – მდ. ცხენისწყალი, მდ. ხელედურა და მდ. ლასკადურა, ხოლო ცაგერის მუნიციპალიტეტში – მდ. ცხენისწყალი და მდ. რიონი.

რეგიონში მდებარეობს 2 წყალსაცავი. შაორის წყალსაცავის წყლის საერთო მოცულობა 90 მლნ კბმ-ს, ხოლო სასარგებლო მოცულობა – 87 მლნ კბმ-ს შეადგენს. მისი დანიშნულება ტყიბულში არსებული შაორის ჰესისთვის სეზონური ჩამონადენის რეგულირებაა. ლაჯანურის წყალსაცავის წყლის საერთო მოცულობა 20 მლნ კბმ-ს, ხოლო სასარგებლო მოცულობა – 17 მლნ კბმ-ს შეადგენს. წყალსაცავი ყოველკვირეული რეგულირების ტიპს მიეკუთვნება და წყალს აწვდის ლაჯანურჰესს.

რეგიონი მდიდარია ბუნებრივი წყაროებით და შესაბამისი საკურორტო ადგილებით. მინერალური წყლების პოტენციალი ჯეროვნად არ არის ათვისებული და არ ხდება მათი გატანა რეგიონულ თუ საერთაშორისო ბაზრებზე. კურორტ უწერაში 28 სახის მინერალური წყლის საერთო დღეღამური დებეტი 800 ტონაა. ისინი მდიდარია კალციუმითა და რკინით, შეიცავს ბორსა და იოდს, ასევე სხვა მინერალებს *(წყარო: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის*).

გამორჩეულია ცაგერის მუნიციპალიტეტის მინერალური წყლები, განსაკუთრებით კურორტ ლაშიჭალას სამკურნალო ბალნეოლოგიური წყლები და ძუღურის მინერალური სამკურნალო წყალი, რომელიც, ძირითადად, დიაბეტით დაავადებულთა სამკურნალოდ გამოიყენება. გამოირჩევა აგრეთვე ალპანის, ახალჭალის, აღვი-ცაგერის, ლაძგვერიის და უსახელოს მინერალური სამკურნალო წყლები, რომლებიც გამოიყენება პროფილაქტიკური ართროლოგიური, გასტროენტეროლოგიური, გინეკოლოგიური, ნევროლოგიური მკურნალობისთვის. შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, მინერალური წყლის რესურსის პოტენციალი უმნიშვნელოდ არის გამოყენებული *(წყარო: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის).*

**ტყის რესურსები.** რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი გამორჩეულია მდიდარი ტყის რესურსებით. ტყით დაფარულია რეგიონის ტერიტორიის დაახლ. 61% (292,9 ათასი ჰა ფართობი მერქნის საერთო მარაგით 60,6 მლნ კბმ). აღსანიშნავია ე.წ. ხელუხლებელი ტყეები, რომლებიც შენარჩუნებულია პირვანდელი სახით და ბიომრავალფეროვნებით. გარდა ამისა, რაჭაში გვხვდება ხელოვნურად გაშენებული წიწვოვანი (ძირითადად, კედარის) ტყეები, რომელთა ასაკი მრავალი ათეული წელია. მთელს ევროპაში ცნობილია რაჭული ნაძვის ჯიში. თუმცა, რეგიონში არ არის განხორციელებული ტყის რესურსების ინვენტარიზაცია. ტყეებისა და მისი რესურსების პოტენციალის მიზნობრივ გამოყენებას რეგიონის განვითარებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს *(გამოყენებულია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის).*

# 12

# ტრანსკავკასიური ბილიკი

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის შესაძლებლობების შესახებ საუბრისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ტრანსკავკასიური ბილიკი, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაციის მისაღებად და მოცემულ კვლევასთან მიმართებით მისი მნიშვნელობის განსასაზღვრად კვლევის კონსულტანტები შეხვდნენ უშუალოდ პროექტის მონაწილეებს.

როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, ტრანსკავკასიურმა ბილიკმა (TCT) უნდა მოიცვას მცირე და დიდ კავკასიონზე გადაჭიმული 3,000 კილომეტრიანი სალაშქრო გზა, რომელიც დააკავშირებს ოცდაათამდე ეროვნულ პარკსა და დაცულ ტერიტორიას რეგიონში. ტრანსკავკასიური ბილიკის მიზანია 2 მთავარი ბილიკის გაკვალვა: ერთი – საქართველო სომხეთი, ხოლო მეორე – საქართელო აზერბაიჯანი. ორივე ბილიკი არის საკმაოდ გრძელი და შეადგენს დაახლოებით 1,500 კილომეტრს. ბილიკი, რომელიც საქართველო-სომხეთს ფარავს, კვეთს ქვემო სვანეთს და რაჭას, ჩამოდის იმერეთში და სამცხე-ჯავახეთის გავლით გადადის სომხეთში. დღეის მდგომარეობით ამ ბილიკის 80% ფუნქციონირებს. მოლაშქრეებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ მარკირებული გზებით, GPS ბილიკებით; ასევე თუ ყველგან არ არის შესაბამისი მარკირება, მოლაშქრეებს პროექტის მონაწილეები წინასწარ აწვდიან დეტალურ ინფორმაციას, რათა მათ შემდეგ ადგილზე მარტივად შეძლონ გზის გაკვლევა. მოლაშქრეთა ნაწილი მთელ ბილიკს გადის – სამეგრელოდან იწყებენ და საქართველოს გავლით ჩადიან სომხეთში. ამ ეტაპზე მსგავსი მარშრუტი შესრულებული აქვს დაახლოებით 50 მოლაშქრეს. უმეტესობა ირჩევს უფრო მოკლე მარშუტს, მაგ: სამეგრელო – ზემო სვანეთი უშგულის გავლით; ამ მიმართულებით სეზონზე დაახლოებით 1,000 მოლაშქრეა. ტრანსკავკასიური ბილიკის მიზანიც მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ამ მრავალრიცხოვან მოლაშქრეებს უბიძგონ გზის გაგრძელება რაჭამდე, რათა მოლაშქრეებისგან მიღებული სარგებელი თანაბრად გადანაწილდეს საქართველოს სხვა მხარეებშიც. ვინაიდან რაჭისა და სამცხე-ჯავახეთის ბილიკი შედარებით უფრო ახალია, მოლაშქრეების უმეტესობა ზემო სვანეთს ეძალება. ტრანსკავკასიური ბილიკი მოიცავს ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებსაც. აქ არ შედის ამბროლაურის მუნიციპალიტეტი. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს თემების სხვა პროექტებსაც, რომლის შემადგენელი ნაწილი იქნება ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი. ბილიკმა უნდა შექმნას მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო არხი თავის ირგვლივ. ბილიკი არ გადის რუსეთს.

როგორც რესპოდენტები აღნიშნავენ, ტრანსკავკასიური ბილიკის იდეა მომდინარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული მოდელიდან, რომლის მთავარი მიზანი იყო ძლიერი თემის ჩამოყალიბება ბილიკის ირგვლივ. ამერიკული მოდელის მიხედვით, ბილიკს იყენებდა არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ მეზობელ ტერიტორიაზე მაცხოვრებლებიც. გრძელი მარშუტების მთავარი იდეაა მდგრადი ტურიზმის განვითარება, თემების დაახლოება, მათ შორის კულტურული ღირებულებების გაცვლა, ველურ ბუნებასთან სიახლოვე უსაფრთხო პირობებში. რაც შეეხება ამ მიმართულებით ტურიზმს, საინტერესოა ის ფაქტი, რომ აქ მოლაშქრეები ფეხით გადაადგილდებიან, რაც მინიმალურ ზიანს აყენებს ბუნებას, მაშინ როცა იმავე მარშუტებზე ავტობუსით ან მსუბუქი ავტომობილით გდაადგილებისას მოგზაური გვერდს უვლის გზადაგზა ყველა იმ ღირსშესანიშაობას, რომლებიც გამოარჩევს ამ კონკრეტუოლ მხარეს. ბილიკებით სარგებლობისას კი ყველა ეს ასპექტი მოლაშქრის მიერ ათვისებულია.

რესპოდენტების თქმით, ტრანსკავკასიური ბილიკის საქართველო-სომხეთის გზის დალაშქვრას სჭირდება საშუალოდ 2-3 თვე. რაც შეეხება აზერბაიჯანის მიმართულებას, ის ისეთი სრულყოფილი არ არის და ბილიკების ნაწილი ისევ მოწყობის პროცესშია. პროექტის მონაწილეები ზემო სვანეთსა და რაჭას სტუმრობენ ყოველ სეზონზე, ვინაიდან მათ მიერ მიმდინაორებს გეგმიური ბილიკების მოწყობის სამუშაოები, რის საშუალებითაც პროექტის ცნობადობა იზრდება. საშუალოდ სეზონზე ბილიკის მოსაწყობად იხარჯება 10 კვირა. ბილიკების მოწყობის საქმეში მონაწილეობას იღებს ასამდე მოხალისე.

ტრანსკავკასიურ ბილიკზე ამ დროის მდგომარეობით ეკო სახლები არ არსებობს და მოლაშქრეები ღამის გასათევად ჩადიან მეზობელ სოფლებში. სვანეთიდან რაჭამდე ბილიკებით ჩასვლას სჭირდება 3 ღამე და გზად თითქმის არ არის ღამის გასათევი, მაშინ, როდესაც ზემო სვანეთის ბილიკზე მოლაშქრეებს შეუძლიათ ყოველი ღამე გაათენონ მეზობელ სოფლებში. სწორედ ღამის გასათევების არსებობა არის ზემო სვანეთის პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზი. რეალურად ბილიკები რესპოდენტების მხრიდან განიხილება როგორც ინფრასტუქტურა, რომელსაც სჭირდება ინვესტიციები. საქართველოში ეკოტურიზმის შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება დასახელდეს ის, რომ არ ხდება გაკვალული ბილიკების ყოველწლიური მონიტორინგი. მაგალითად, რუკაზე მონიშნული ბილიკი წლების განმავლობაში მოუვლელობის გამო შეიძლება გაუვალი გახდეს და ადგილზე მისულ სტუმარს შეექმნას გადაადგილების პრობლემა.

ბილიკის გახსნამდე მისი ვიზიტორი 2 მოლაშქრე თუ იყო, მეტი არა. ახლა კი ყოველწლიურად ტრანსკავკასიური ბილიკი დაახლეობით 3,000 მოლაშქრეს იღებს. თავდაპირველად, რასაკვირველია, საჭიროა ბილიკის საიმედოდ და საფუძვლიანად მოწყობა, შემდეგ კი – ღამის გასათევისა. პრეოქტი დაიწყო 2016 წელს. ტრანსკავკასიური ბილიკი საქართველოში წარმოდგენილია არასამთავრობო ორგანიზაციის სახით, რომელსაც ჰყავს პარტნიორი სომხეთშიც. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმით დაინტერესებული მოგზაურებისთვის ტრანსკავკასიური ბილიკის შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია მათსავე ვებ-გვერდზე. მოგზაურებს ასევე შეუძლიათ მიმართონ მათ ოფისს თბილისში, სადაც მათ გააცნობენ მარშრუტებს და მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე გასცემენ პასუხს. ვებ-გვერდზე დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია მარშრუტების შესახებ, რომლის ჩამოტვირთვაც შესაძლებელია ტურისტისთვის. სმარტფოუნით ოფლაინ რეჟიმში ტურისტს შეუძლია გამოიყენოს ჩამოტვირთული ბილიკების რუკა. ყველა ეს მომსახურება არის უფასო. ტრანსკავკასიური ბილიკის პროექტის მონაწილეები არ უზღუდავენ მიმოსვლის უფლებას მსურველებს. მათი აქტივობები და სამუშაოები ტარდება დონორების მიერ შემოწირული თანხებით. მონაწილეების აზრით, თუ ბილიკის განვითარებით დაინტერესებულ დონორს ენდომება თანხის ინვესტიცია, თავისუფლად შეუძლია მსოფლიოში არსებულ არაერთ მსგავსი ბილიკის მოდელს მიმართოს და გადმოიტანოს ჩვენს რეალობაში.

გამოკითხვამ აჩვენა რომ, ბილიკის გახსნის პირველ წელს დაახლოებით 100 მოლაშქრე სტუმრობდა მას, მომდევნო წელს 500-მდე გაიზარდა, იმის მომდევნო წელს კი 2,000-მდე. შეიძლება ითქვას, რომ პროექტი ამ ეტაპზე შუა ფაზამდეა მიყვანილი; ბილიკების ნაწილი უკვე სარგებლობს პოპულარობით, ნაწილი – მოწყობის პროცესშია. ჩატარებული სამუშაოების შედეგი და სარგებელი შესამჩნევი იქნება გარკვეული პერიოდის შემდეგ. პროეტქი მთელი ბილიკის სრულფასოვნად გამოყენების საწყის ეტაპზეა.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ნაწილი ყველაზე მეტად საჭიროებს ყოველმხრივ ხელშეწყობას. ზემო სვანეთთან შედარებით აღნიშნული რეგიონი დაახლოებით 5 წლით უკანაა. მთავარი დაბრკოლება პროექტის მსვლელობისას არის კლიმატური პირობები, ამასთანავე, კომპეტენტური ადამიანური რესურსის ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 8 წლის გნამავლობაში ბევრმა ადამიანმა გაიარა ტრენინგი ამ მიმართულებით. რთულია ადგილობრივი მოსახლეობის / ბილიკთან ახლოს მცხოვრები ხალხის დატრენინგება, ვინაიდან სეზონზე მათ ბევრი საქმე აქვთ და ყოფითი საკითხების გამო ფიზიკურად დრო არ აქვთ, რაც დაბრკოლებას წარმოადგენს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ვინაიდან ვერ საქმდება უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობა, ვერ იღებს სარგებელს და გამოცდილება/მიღებული ცოდნა არ რჩება ადგილზე.

როდესაც ვსაუბრობთ ტრანსკავკასიურ ბილიკზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარი გამოწვევა არის მოკლე სეზონი, გაუმართავი ინფრასტუქტურა (ფაქტობრივად არსად არ არის ეკო საპირფარეშოები), ადამიანური რესურსისა და ფინანსური მხარდაჭერის დეფიციტი.

ტრანსკავკასიური ბილიკი არ მოიცავს არცერთ დაცულ ტერიტორიას. ბილიკების უმეტესობა ეკუთვნის ეროვნულ სატყეო სააგენტოს. საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს კანონი, რომელიც გაითვალისწინებს ბილიკების კონსერვაციას. ამას ისიც განაპირობებს, ალბათ, რომ ჩვენი სამიზნე რეგიონი არ განიცდის ვიზიტორთა გადაჭარბებული ნაკადების შემოდინებას. მსგავსი საჭიროების წინაშე პოტენციურად დგას ზემო სვანეთი. პროექტის ფარგლებში საქართველოს ამ მხარეს ბევრი საერთაშორისო მოლაშქრე ეწვია. მათი დადებითი უკუკავშირი განაპირობებს მოდევნო წლებში ვიზიტორთა ზრდას. გაანსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ველური ბუნება და ადგილობრივი კულტურა. პროექტის ძლიერი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ მან გააერთიანა ბევრი ადამიანი ერთი მიზნით, ადამიანები ერთმანეთთან დააკავშირა ბუნების საშუალებით. მონაწილეთა თქმით, მთავარი გამოწვევა არის ის, რომ მოსახლეობას არ აქვს ცოდნა, თუ როგორ მიიღოს ფინანსური სარგებელი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმით.

ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ტრანსკავკასიურ ბილიკს უმნიშვნელოვანესი როლი და ფუნქცია აკისრია.

# 13 საბაზრო შეფასება და შესაძლებლობები

## დარგის ტენდენციები

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, თვალწარმტაცი ბუნება, კლიმატური პირობები, სუფთა ჰაერი, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეების სიხშირე, კულტურული ძეგლების, მინერალური წყლებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების სიუხვე ხელს უწყობს რეგიონში სხვადასხვა ტიპის ტურიზმის (საავტომობილო, საცხენოსნო, საფეხმავლო და სამონადირეო ტურიზმი, ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი და სხვ.) განვითარებას.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან აღსანიშნავია: რაჭაში – ნიკორწმინდა, ხოტევი, ბარაკონი, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; ცაგერში – ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მურის ციხე, ნაკურალეშის წმინდა გიორგის ეკლესია, მაქსიმე აღმსარებლის საფლავი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პუნქტია პილიგრიმული ტურების დროს; ლენტეხში – ლადო მუსელიანის სახელობის ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში საინტერესო ტურისტულ პროდუქტს წარმოადგენს:

რაჭაში – საყინულეს მღვიმე, შაორის წყალსაცავი, ხიდიკარის კლდეკარის (კანიონი), თხმორის ჩანჩქერი, მდინარე შარეულას ხეობა და ჭელიაღელეს ტბა; ლეჩხუმში – მწვანე ტბა, ხვამლის მთა, ღვირიშის ჩანჩქერი, საირმის სვეტები, მაქსიმე აღმსარებლის ტაძარი.

ხვამლის მთის ღირებულება მნიშვნელოვანია ორივე თვალსაზრისით: როგორც კულტურული, ისე ბუნებრივი. ასევე მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და არქეოლოგიური მასალა. საჭიროა ამ ტურისტული პროდუქტის სათანადოდ გამოყენება. არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო ადგილია დეხვირის ციხის კომპლექსი, რომელმაც მუზეუმ-ნაკრძალის სტატუსი მიიღო.

ლენტეხი გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით. აქ მთავარი სწორედ ეკო ტურიზმის პროდუქტებია. ასევე, საინტერესოა სათავგადასავლო ტურიზმის მხრივაც.

# 14 რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ვიზიტორთა ტიპები

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის პოპულარობის დონე საკმაოდ დაბალია. ეს განსაკუთრებით შეეხება ლეჩხუმისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებს. მიუხედავად იმისა, რომ ბიომრავალფეროვნებითა და სათავგადასავლო ტურიზმისთვის ხელსაყრელი პირობებით უფრო მიმზიდველია, ცნობადობა ძალიან დაბალია. საქართველოში ეკოტურიზმის შესაძლებლობებს აქვს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის მოზიდვის პოტენციალი, რომელთაც განსხვავებული მოტივაცია, საქმიანობა და ინტერესები აქვთ. თუკი ვსაუბრობთ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის შესაძლებლობებზე, ეს ორი მუნიციპალიტეტი სწორედ იმ ყოველივეს მოიცავს, რაც ამ სახის ტურიზმის განვითარებისთვისაა საჭირო. საოჯახო სასტუმროების მეპატრონეებისა და ტურისტულ სექტორში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვამ ცხადყო, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა 80% ერთი ღამით რჩება. ონში, ძირითადად, დასასვენებლად ჩადიან და მეტ დროს ატარებენ. ცაგერის მუნიციპალიტეტში საშუალოს 2-3 დღე რჩებიან, ვინაიდან სხვადასხვა ლოკაცია აქვთ დაგეგმილი მოსანახულებლად. ეს ადგილები კი ერთმანეთისგან მოშორებითაა და მეტ დროს საჭიროებს. ლენტეხში საშუალოდ ტურისტი, ასევე, 1 ღამით რჩება. ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება, სათანადო პაკეტების შექმნა ხელს შეუწყობს იმას, რომ ტურისტმა მეტი დრო დაჰყოს რეგიონში.

# 15 რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სამიზნე ბაზრები

კვლევის კონსულტანტები დეტალურად გაეცნენ საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიას 2020-2030 წლებისთვის, სადაც გაწერილია სამოქმედო გეგმა და განსაზღვრულია სამიზნე ჯგუფებიც. ამის შემდეგ კი საველე პირობებში ჩატარდა გამოკითხვა, რაც რეგიონში სამიზნე ბაზრის გამოკვეთის საკითხსაც მოიცავდა. კითხვარების ანალიზის შემდეგ კი გამოიკვეთა შემდეგი სურათი.

**საერთაშორისო ბაზარი** მოიცავს აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპას, ასევე, ისრაელს. საერთაშორისო სამიზნე ჯგუფებია: ინდივიდუალური მოგზაური და წყვილი, ხანდაზმული მოგზაური, ოჯახები, რომელთაც სურთ გართობისა და სწავლის კომბინირება; შედარებით მცირეა ორგანიზებული ნიშური ბაზრის ჯგუფები, რომლებიც მოგზაურობენ ჰობისთვის, საჭიროებენ სპეციალურ ინფრასტრუქტურას და მცოდნე გიდებს, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ინფრასტრუქტურა და პროფესიონალი კადრი რეგიონის სუსტი მხარეა. შესაბამისად, ამგვარი ჯგუფების მოსაზიდად სწორედ სპეციალური ინფრასტრუქტურისა და მცოდნე გიდების უზრუნველყოფაა საჭირო. მათ შორის არიან „მაგარი" ტურისტები (აქტიური, ღრმად დაინტერესებული როგორც აქტივობით ასევე მეცნიერულად), მსუბუქი, პასიური, და ბუნების მოყვარული ეკოტურისტები (რეკრეანტები).

**შიდა ბაზარი** ძირითადად მოიცავს სტუდენტებსა და ახალგაზრდებს, ბავშვებიან ოჯახებს, სამეგობრო წრეს, რომლებიც მოგზაურობენ დასვენების მიზნით, სურთ პიკნიკი, მოკლე ლაშქრობები.

საერთაშორისო და შიდა სამიზნე ჯგუფების მახასიათებლები განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის გამოცდილებას ეძებენ ეკოტურისტები; რა ტიპის მომსახურება ესაჭიროებათ; როგორია მოგზაურობის ხანგრძლივობა; როგორ ხდება ტურისათვის მომზადება.

**ინდივიდუალური მოგზაურები.** ეს სეგმენტი მოიცავს ინდივიდუალურ მოგზაურებს, წყვილებს, მეგობრებს, ასევე ორ ან მეტ წყვილს. ისინი არიან „მაგარი" და „მსუბუქი" ბუნების მოყვარული ტურისტები, ფიზიკურად აქტიურები, რომლებიც სიამოვნებას იღებენ გამოწვევებისგან. ამ ტიპის მოგზაურები თვითონ გეგმავენ ტურს და მოგზაურობენ ტუროპერატორებისგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ყველა ტიპის ინფორმაცია. ინდივიდუალურ მოგზაურთა ინტერესის სფეროა გართობა, ბუნება და თავგადასავალი (სპორტი, რეკრეაციული აქტივობები). მომსახურებებიდან საჭიროებენ იაფ განთავსებას, აღჭურვილობასა და ინფრასტრუქტურას, როგორიცაა ბანაკები, თავშესაფრები და ა.შ. მოგზაურობის პერიოდი ძირითადად რამდენიმედღიანია. ისინი ტურს გეგმავენ ინტერნეტის საშუალებით, ასევე, ზეპირსიტყვიერი ინფორმაცის, რეკომენდაციების საშუალებით, რომლებიც ხელმისაწვდომია კომერციულ ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელებში. ისინი საკუთარ მოგზაურობას თვითონ გეგმავენ და ეს განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებთ. ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა, რომ, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, ვიზიტორთა შორის ჭარბობენ ინდივიდუალური მოგზაურები. ისინი ირჩევენ გრძელ საფეხმავლო ბილიკებს, გადმოსახედებს, დაინტერესებულები არიან წყლის აქტივობებით.

**ოჯახი ბავშვებით.** ეს სეგმენტი მოიცავს ოჯახებს, რომლებისთვისაც პრიორიტეტულია შვილების გართობა და დასვენება. ისინი ითვლებიან ბუნების მოყვარულ ტურისტებად. თუმცა ინდივიდუალური მოგზაურებისაგან განსხვავებით, მათ გარკვეული დონის კომფორტი სჭირდებათ. ხშირად სტუმრობენ ეროვნულ პარკებს პიკნიკისა და მსუბუქი აქტივობე-

ბისთვის და ხშირად ითხოვენ საგანმანათლებლო ტურებს. მათი ინტერესის სფეროა ბუნება, მოზრდილებსა და ბავშვებზე გათვლილი თავგადასავლები გარე სპორტულ აქტივობებთან ერთად, ასევე, კულტურა და განათლება. საჭირო მომსახურება: საოჯახო სასტუმროები, საოჯახო სახლები, ორგანული პროდუქტები ადგილობრივი სოფლებიდან. მოგზაურობის პერიოდი ძირითადად მოიცავს ზაფხულის სასკოლო არდადეგებს, ასევე, ზამთარსაც ან შაბათ-კვირას. ამ ტიპის მოგზაურებიც ტურს, როგორც წესი, გეგმავენ ინტერნეტით, რეკომენდაციებისა და ვებგვერდების საშუალებით. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ამ ტიპის მოგზაურებიც არიან, თუმცა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის თვალსაზრისით არც ისე აქტიური სეგმენტია.

**ხანდაზმული მოგზაურები**. ეს სეგმენტი მოიცავს 60 წელს გადაცილებულ მოგზაურებს, ძირითადად პენსიონერებს, რომელთაც აქვთ ბევრი დრო დასვენებისთვის, სტაბილური შემოსავალი და, გამოცდილებიდან გამომდინარე, რაიმე განსაკუთრებულის მოლოდინიც. ისინი ითვლებიან მსუბუქ (soft) და პასიურ ეკოტურისტებად, რომლებსაც მოსწონთ ეკოტურიზმი და ტრადიციული არდადეგები. აღნიშნული კატეგორიის მოგზაურები ეძებენ სოციალიზაციას და გარკვეული დონის კომფორტს საჭიროებენ. მათი ინტერესის სფეროა: გამაჯანსაღებელი ტურიზმი, სოციალური ცხოვრება, კულტურა და განათლება, ასევე, გასტრონომია. ისინი მხარჯველუნარიანი მიგზაურები არიან, საჭიროებენ კომფორტულ საოჯახო სასტუმროებს, ორგანულ პროდუქტებს ადგილობრივი სოფლებიდან. მათ შორის შეიძლება იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც საჭიროებენ ხელმისაწვდომობას და დახმარებას. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს სამიზნე რეგიონში მოცემულ ეტაპზე მათთვის ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული, ამ ტიპის მოგზაურებს იგი ვერ უზრუნველყოფს სათანადო მომსახურებით. მოგზაურობის პერიოდი არის ტურისტული სეზონი (მაისი – ოქტომბერი). რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ამ ტიპის მოგზაურები შედარებით მცირეა ზემოთ ნახსენებ სეგმენტთან (ინდივიდუალური მოგზაურები, ოჯახები) შედარებით.

**ორგანიზებული ჯგუფები**. ეს სეგმენტი გულისხმობს კონკრეტული მოგზაურობით დაინტერესებულ მცირე ჯგუფებს, ბუნების მოყვარულ ტურისტებსა და რეკრეანტებს, რომლებიც საჭიროებენ ტუროპერატორებს. ისინი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ თემატური ბილიკების, სპორტული აქტივობების, გასტროტურების მიმართ. საჭიროებენ კომფორტულ საოჯახო სასტუმროებს, ინფორმაციას დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციების სპეციალისტებისგან და პროფესიონალური გიდის მომსახურებას. მოგზაურობის პერიოდი არ არის ხანგრძლივი – 1-3-დღიანი ვიზიტები ტურისტული სეზონის განმავლობაში (მაისი – ოქტომბერი). მათ შესაძლოა დაჯავშნონ მოგზაურობა საერთაშორისო ტურისტული კომპანიების ან უშუალოდ ადგილობრივი ტუროპერატორების მეშვეობით. კონკრეტული მოგზაურობით დაინტერესებულ ჯგუფებში ჩვენი კვლევის დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა პილიგრიმული ტური ცაგერის მუნიციპალიტეტში, სადაც არის VII საუკუნეში მოღვაწე ბიზანტიელი წმინდა მამის, მაქსიმე აღმსარებლის საფლავი, რომელიც მთელს მართლმადიდებლურ სამყაროში დიდ ინტერესს იწვევს და მრავლად სტუმრობენ მომლოცველთა ჯგუფები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შიდა ბაზარზე დომინირებს **ბუნების მოყვარული ტურისტები**. ბუნების მოყვარულ ტურისტებს წარმოადგენენ ბუნებასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ზრდასრულები და ოჯახები, რომელთაც აქვთ მხოლოდ რეკრეაციული მიზნები: პიკნიკები და გართობა. ისინი არ გამოირჩევიან აქტიურობით, არ მოგზაურობენ დიდ ჯგუფებში და ხარჯავენ ნაკლებს განთავსებასა და სხვა მომსახურებებზე.

# 16 ბაზრის შეფასება

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, რამდენად განხორციელებადია ბაზარი, ჯერ უნდა შეფასდეს ტურისტული ბაზრის ზომა, რათა დადგინდეს მისი სიცოცხლისუნარიანობა, ასევე, პოტენციური მოთხოვნა პროდუქტზე და ამის მიხედვით გადაიდგას სტრატეგიული ნაბიჯები. ბაზრის სეგმენტები რომ უკეთ გავიგოთ, საჭიროა ანალიზმა განსაზღვროს:

<u>დემოგრაფიული პროფილები:</u> ასაკი, სქესი, განათლების დონე, წარმომავლობა, ეროვნება. ვინ მიემგზავრება უკვე დანიშნულების ადგილას და რამდენი?

<u>მოგზაურობის მოტივები:</u> სტუმრები საქმიანი ვიზიტით ჩამოვიდნენ, დასასვენებლად თუ მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად? რატომ მოგზაურობენ? რა ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ემოციური და პროფესიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ესწრაფვიან ვიზიტორები თავიანთი შვებულების დროს? რა საიტებს სტუმრობენ ისინი ადგილზე ყოფნისას? რა ტიპის გამოცდილებას და ცოდნას ეძებენ? არიან თუ არა დაინტერესებულნი ველური ბუნებით, ადგილობრივი კულტურით ან ისტორიით, ან უბრალოდ ეკონომიკის ასპექტებით? რას გეგმავენ ისინი ვიზიტის დროს?

<u>პრიორიტეტები სერვისების შეძენის დროს:</u> რამდენ და რა სერვისებს ყიდულობენ? რა სახის ტურებს ყიდულობენ ისინი? როგორ ყიდულობენ ბილეთებს: საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე? კიდევ რა სერვისებით სარგებლობენ? კმაყოფილები არიან თუ არა შეძენილი მომსახურებით? როგორია ხარჯების სტრუქტურა კონკრეტულ ბაზრებსა და კონკრეტულ ლოკაციებზე? რამდენს ხარჯავენ ჩვეულებრივ?

<u>მოგზაურობის ქცევა:</u> ჯგუფური თუ ინდივიდუალური მოგზაურობა? რამხელაა ტურისტული ჯგუფები? ყოფილან თუ არა დამთვალიერებლები დანიშნულების ადგილას ადრე? რა ინფორმაცია ან დაჯავშნის რა მეთოდი გამოიყენეს? რა სახის ტრანსპორტი გამოიყენეს დანიშნულების ადგილზე მისასვლელად? რამდენი მათგანი დადის ტურებში და მრავალჯერადად მოგზაურობს?

ტურისტული მარკეტინგი უნდა იყოს ორიენტირებული იმ პროდუქტის განვითარებაზე, რომელიც პოტენციურად დააინტერესებს მომხმარებელს. ვიზიტორები, დიდი ალბათობით, უფრო ჩაერთვებიან ღონისძიებებსა თუ აქტივობებში დანიშნულების ადგილზე, თუკი დაინახავენ, რომ ისინი პასუხობენ მათ პირად მოტივებს და მოაქვთ რეალური სარგებელი. მაგალითად, გამოკითხულთა უმრავლესობამ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა „გემო ფესტზე“, რომელიც ჩატარდა რაჭაში და უდიდესი როლი ითამაშა ტურისტების მოზიდვის საქმეში.

უნდა განისაზღვროს ის უნიკალური ან განსაკუთრებული მახასიათებლები, რომელთა შეთავაზებაც რეგიონს შეუძლია სხვა არსებულ პროდუქტებთან ან მიმართულებებთან შედარებით. ბაზრის გაცნობის საფუძველზე უნდა შეიქმნას სამიზნე ვიზიტორების თავდაპირველი პროფილი. ყურადღება უნდა მიექცეს როგორც გამოცდილი ეკოტურისტების, ისე ჩვეულებრივი საშუალო კლასის ვიზიტორების განსხვავებულ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებს. მარკეტინგის დონემ და ხასიათმა ასევე უნდა გაითვალისწინოს ტერიტორიის ეკოლოგიური და კულტურული მთლიანობა და ვიზიტორთა რაოდენობაზე გავლენა.

# 17

# საკურორტო ინდუსტრია

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის კურორტებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა შოვისა და უწერის კურორტები ჰავის, კლიმატისა და მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებით. სამწუხაროდ, შოვის ტრაგედიის შემდეგ ამ ნუსხას გამოაკლდა შოვი. თუმცა როგორც ადგილლობრივ ხელისუფლებასთან საუბრიდან გაირკვა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში იგეგმება შოვის ალტერნატივის შექმნა. ცხადია, ეს ვერ მოხერხდება ონის მუნიციპალიტეტში, თუმცა ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია მსგავსი კურორტის შექმნა იმავე მახასიათებლებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, ამბროლაურისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტში იგეგმება სამთო-სათხილამურო კურორტ ჭუთხაროს განვითარება, რაც შესაძლებლობას მისცემს ამ მხარეს ტურისტულად აქტიური გახდეს ზამთრის სეზონზეც. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მიმდინარეობს სამთო-სათხილამურო კურორტ ჭუთხაროს სივრცით-ეკონომიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევა და სიცოცხლისუნარიანობის შეფასება (განვითარების კონცეფცია).

ცაგერის მუნიციპალიტეტში, რომელიც გამოირჩევა სამკურნალო თვისებების მქონე მინერალური წყლებით, კურორტის სტატუსი მხოლოდ ლაშიჭალას აქვს. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, საკურორტო ადგილებია ალპანა, ახალჭალა, აღვი, ლაძგვერია, უსახელო და ძუღური. ამჟამად კურორტზე ინფრასტრუქტურა არ არის. შედარებით განვითარებული კურორტია ლაშიჭალა, სადაც ტურისტული მომსახურება ძირითადად სახლებისა და კოტეჯების გაქირავებით შემოიფარგლება. კურორტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა მისასვლელი გზა, რომელიც ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

უდიდესი პოტენციალი აქვს ახალჭალას, როგორც ბალნეოლოგიურ კურორტს. ცაგერის მუნიციპალიტეტში ყველა რესპოდენტმა ხაზი გაუსვა ამ წყლების მნიშვნელობას და აღნიშნულ სოფლებში საკურორტო ინდუსტრიის განვითარების აუცილებლობას.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კურორტის სტატუსი მხოლოდ მუაშს აქვს. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, საკურორტო ადგილებია – ხოფური, ქორულდაში და ლასკადურა. არც ერთ ამ ობიექტზე არ არის განვითარებული საკურორტო ინფრასტრუქტურა. მუაშის შემთხვევაში ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო საკუთრებაშია.

კურორტების განვითარების სააგენტოსთან შეხვედრისას გამოიკვეთა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში შემდეგი ადგილები, რომელთაც აქვთ საკურორტო პოტენციალი: ზესხო, ყორულდაში, სადაც იგეგმება ალპინისტური ბაზის გახსნა, ჭიორა-ნოწარა, სორტუანი, ბუგეული, შხივანა, სხარტალა. ზემოხსენებულ ადგილებთან დაკავშირებით აღნიშნული სააგენტო აწარმოებს საკურორტო შესაძლებლობების კვლევას და შესაბამისად, კვლევის კონსულტანტებს საბოლოო დამტკიცებულ დოკუმენტაციაზე წვდომა არ აქვთ.

# 18 რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის პროდუქტები

ამ ტიპის ტურისტული პროდუქტები გულისხმობს განვითარებადი ფიზიკური და კულტურული ღირსშესანიშნაობების, ტურისტის მიერ მიღებული შთაბეჭდილებების სახეობებისა და მათი მიწოდებისთვის საჭირო სერვისების ერთობლიობას.

კვლევის კონსულტანტებმა კვლევის მონაწილეებთან ერთად გამოკვეთეს მრავალი პროდუქტი, რომელსაც აქვს მაღალი ღირებულება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. მათ შორისაა: სანახაობრივი ღირებულება (ლანდშაფტის მრავალფეროვნება), ბიომრავალფეროვნება, ცხოველთა მრავალი სახეობა, ადვილად შესამჩნევი ველური ბუნება, საინტერესო მცენარეული ფორმები (მაგ. შერეული ტყეები), სახეობების უნიკალურობა ან ტოპოგრაფიული მახასიათებლები, ხელუხლებელი გარემო. ეკოსისტემები, ცურვის შესაძლებლობები (პლაჟი, ტბა, ჩანჩქერები) და ბუნებრივი სპორტის შესაძლებლობები (ჯომარდობა, დაივინგი, კლდეზე ცოცვა). ადგილზე განხორციელებულმა ვიზიტებმა ცხადყო და დაადასტურა ამ პროდუქციის მაღალი ხარისხი, მათი მნიშვნელობა რეგიონში ტურისტების მოზიდვის საქმეში. ეს და სხვა პროდუქტები და მათი პოტენციალი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების მხარდასაჭერად, უფრო სიღმისეულად უნდა შეფასდეს, ასევე უნდა განისაზღვროს და დადგინდეს პოტენციური საფრთხეებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევისთვის არ იყო შედგენილი ეკო და სათავგადასავლო ტურისტული პროდუქტების დეტალური აღწერა (რეგიონულ რესურსებზე, ასევე დაინტერესებული მხარეების და ბაზრის შეფასებებზე დაყრდნობით), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის რესურსები მხედველობაში იქნა მიღებული საველე ვიზიტის დროს ზრდის პოტენციალის შესაფასებლად. შორეული და მაღალმთიანი ბუნება, თვალწარმტაცი პეიზაჟები, ეკოსისტემები, მთის მდინარეები ხელს უწყობს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებას. აქტივობები შეიძლება მოიცავდეს ველური ბუნების მონახულებას, თევზაობას, ნავებით გასეირნებას, სალაშქრო ბილიკებს ან უბრალოდ დასვენებას.

# 19 გიდების გამოკითხვები

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, ოთხივე მუნიციპალიტეტში გამოიკითხა როგორც ადგილობრივი, ისე ჩამსვლელი გიდები, ჯამში 7. გამოკითხვის მიზანი იყო, უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვქმნოდა აღნიშნული მხარის ამჟამინდელი ბაზრისა და ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის პოტენციალის შესახებ. ეს გიდები არჩეულ იქნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, როგორც ადგილობრივებისგან მიღებული რეკომენდაციით, ისე დედაქალაქში მოძიების საშუალებით. გამომდინარე იქიდან, რომ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი მთიანი რეგიონია და გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით, გამოკითხული გიდებიდან ყველამ აღნიშნა, რომ სთავაზობს ეკო და სათავგადასავლო ტურებს.

# 20 არსებული ეკო და სათავგადასავლო ტურები

ამჟამად რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ეკო და სათავგადასავლო ტურების შეთავაზება მოიცავს შემდეგს: გაუკვალავ თოვლში თხილამურით სრიალი (სკიტური), სამთო ველოსპორტი როგორც ჩვეულებრივი, ასევე ელექტრო ველოსიპედებით, ლაშქრობა, კლდეზე ცოცვა, საცხენოსნო ტურები, კემპინგ და სათევზაო ტურები, ჯომარდობის ტური რაჭაში, დასასვენებელი და შემეცნებითი ტურები. ყველაზე მონახულებადი ადგილებს შორის ცაგერის, ლენტეხის, ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მხრივ გიდებმა დაასახელეს: ცხრაჯვარი, შაორი, შაორის მიმდებარე გამოქვაბულები, ლაილაში, სასაში, ხვამლის მთა, მწვანე ტბა, გონა, უძირო ტბა, (გლოლის თავზე), ბუბას მყინვარი (შოვის თავზე. როგორც ერთ-ერთმა გიდმა აღნიშნა, ამჟამად ეს ბილიკი სავარაუდოდ გაუვალი იქნება) ხიხათა (მრავალძალის მხრიდან) და ჭოლევის ტბა.

ასევე შეთავაზებებზე საუბრისას ერთ-ერთმა გიდმა აღნიშნა, რომ ვინაიდან ძალიან იშვიათად ახერხებენ რაჭაში სათავგადასავლო ტურისტის პოვნას/დათანხმებას, ძირითადად ტურები მათზე, ტურისტებზეა მორგებულია. შაბლონური ტურები, რომლებიც ხშირად იყიდება, არ არსებობს. რაც შეეხება საცხოვრებლით უზრუნველყოფას, ბიუჯეტის შესაბამისად ათავსებენ კარავში, კოტეჯში ან საოჯახო სასტუმროში.

ამ ტურების სიხშირე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სეზონსა და ამინდზე. ყველაზე აქტიური სეზონის დროს საშუალოდ 3 ტური იგეგმება, ხოლო ყველაზე პასიური სეზონის დროს – 1, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. რაც შეეხება არსებული ტურების ხანგრძლივობას, გიდების უმრავლესობამ როგორც აღნიშნა, საშუალოდ 3-4 დღე გრძელდება ტურები.

როგორც გიდებმა აღნიშნეს, ეკო და სათავგადასავლო ტურებით ძირითადად ინტერესდებიან ევროპელი და ქართველი მოგზაურები. შემოსული ტურისტეპი ჭარბობენ გერმანიიდან, ნიდერლანდებიდან, ავსტრიიდან, ბრიტანეთიდან, ასევე ისრაელიდან. ესენი არიან ბუნების მოყვარული ხალხი, რომლებიც საკუთარ ქვეყანაშიც მსგაგსი აქტივობებით არიან დაკავებულნი.

გიდების უმრავლესობის შეთავაზებები მოიცავს მცირე ჯგუფებს ან ინდივიდუალურ პაკეტებს, ტურისტები კი მზად არიან გადაიხადონ მეტი ამ პრივილეგიისთვის. როგორც გიდებმა აღნიშნეს, ეკო და სათავგადასავლო ტურიზმისადმი მომხმარებელთა ინტერესი ყველაზე დაბალია რაჭაში. ხშირადაა შემთხვევები, როცა სპეციალურად ტურისტებისთვის იგეგმება ტურები მათი ინტერესებიდან გამომდინარე. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, შაბლონური ტურები არ არსებობს, რომლებიც ხშირად გაიყიდება.

აღსანიშნავია, რომ არც ერთ გიდს არ ჰქონია შესაძლებლობა, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე ამ მხარის ეკო და სათავგადასავლო ტურები წარმოედგინა. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მათი ტურების დაბალ ცნობადობას.

გიდების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართ ინტერესი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში იზრდება, ვინაიდან სულ უფრო მეტი ტურისტი ითხოვს მსგავს ტურებს. ტურისტები უფრო მეტად ინტერესდებიან, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა იმ გარემოსა თუ თემის ცხოვრებაში, ყოველდღიურობაში, რომლებსაც სტუმრობენ. რაც შეეხება ამჟამინდელ ეკო და სათავგადასავლო ტურებს, მომხმარებლები, ზოგადად, ძალიან კმაყოფილნი არიან, რადგან ისინი თვლიან, რომ მათი ტური უნიკალურია. უკმაყოფილებას, როგორც წესი, უმეტესწილად, იწვევს ისეთი ინფრასტრუქტურის გაუმართავობა, როგორიცაა სველი წერტილების არარსებობა,

გზების გაუმართავობა, კვების ობიექტების სიმცირე, უსაფრთხოების ზომების დაუცველობა. საკუთრივ ეკოტურებით კი ყველა კმაყოფილია, რაც დადებითი და წამახალისებელი ტენდენციაა.

ერთ-ერთმა გიდმა, რომელსაც გავლილი აქვს სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის სრული მოდული და არის საერთაშორისოდ აღიარებილი სამთო გამყოლი (GMGA/IFMGA Mountain Guide), რაც მოიცავს Ski Guide, Alpine Guide, Rock Climbing Guide, Trekking Guide მოდულებს, ასევე, აქვს ამავე სკოლაში Ski Teacher მოდულის სერთიფიკატი, შესაბამისად არის საკმაოდ გამოცდილი და იცის ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მნიშვნელობა, აღნიშნა, რომ არის რაჭველი, ნაწილობრივ ცხოვრობს რაჭაში. ამ სფეროში მუშაობს საქართველოს სხვა რეგიონებში და ზუსტად იცის, რომ იმავე აქტივიბების მსგავსი წარმატებით განხორციელება შეიძლება რაჭაშიც. ზოგი სპორტისთვის რაჭის გარემო უფრო ხელსაყრელიცაა, ვიდრე ახლა პოპულარული ადგილები. მაგალითად, სამთო ველოსპორტისთვის.

კითხვაზე, თუ რა სახის საფრთხე შეიძლება შეექმნას ბუნებრივ რესურსებს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმისადმი მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში, გიდებმა რამდენიმე ფაქტორი აღნიშნეს. ესენია: გარემოს დაბინძურება, წყლის რესურსის არასწორი ხარჯვა, ტყის ხანძრები. ბუნებრივი რესურსების მთავარ საფრთხედ დასახელდა მათი ბუნდოვანი გასხვისებაა. ასევე საფრთხე იყო და არის დიდი ზომის დაგუბებები, რაც სხვადასხვანაირ გავლენას მოახდენს, ყველაზე მარტივად პროგნოზირებადი თოვლის ხარისხის ცვლილებაა. ასევე, როგორც ერთ-ერთმა გიდმა აღნიშნა, საუბარი იყო შქმერში მანგანუმის ღია წესით მოპოვებაზე, რაც, რასაკვირველია, უარყოფით გავლენას მოახდენს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმზე.

გიდების აზრით, ასევე, საფრთხეს წარმოადგენს ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების არასწორი გეგმარება, მოსალოდნელია იმერეთის კანიონებისმაგვარი პრივატიზაციები რაჭაში, რის შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია, დაცული იყოს საერთაშორისო სტანდარტები და მინიმალურად დაზიანდეს ბუნებრივი რესურსი.

ამ კუთხით სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანესია. მათ უნდა მოახდინონ ადამიანთა ინფორმირება, პრევენციისთვის. ასევე გააძლიერონ სტრუქტურები რომლებიც ამ პრობლემებს აღმოფხვრიან.

იმ გიდების მთავარი პროდუქტი, რომლებიც არ სთავაზობენ ტურისტებს ეკო და სათავგადასავლო ტურებს, არის კულტურული მემკვიდრეობა და ტაძრები – ტიპიური სტანდარტული ტურები. მათგან ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ მისი მომხმარებლების მხრიდან ეკო და სათავგადასავლო ტურებისადმი დაბალი ინტერესი განპირობებული იყო ტურისტების ასაკით, რომლებიც ამჯობინებდნენ კომფორტულ, ძვირადღირებულ ტურებს კულტურულ ღირსშესანიშნაობების მონახულებით. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ამ მხარის გიდებს გარკვეულწილად მცდარი წარმოდგენა აქვთ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმზე, რომლის მიხედვითაც ყველა ასეთი ტური უნდა იყოს იაფი, რთული და არაკომფორტული. თუმცა, ეს მიუთითებს შედარებით მაღალი დონის ბაზრის არსებობაზეც, რომელიც ეძებს კომფორტს და ფუფუნებას.

იმ გიდებმა, რომლებიც ამჟამად არ სთავაზობენ ეკო და სათავგადასავლო ტურებს ტურისტებს, აღნიშნეს, რომ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მხარეში, თუმცა მის მიწოდებას ართულებს ორგანიზებული პროდუქტების არარსებობა. ზოგიერთი გიდის აზრით, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ჯერ არც არსებობს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ნამდვილი ინდუსტრია ორგანიზებული პროდუქტების, გამოცდილი და კვალიფიციური გიდების, სტრატეგიული ბრენდინგისა და მარკეტინგის თვალსაზრისით. პირიქით, ქვეყანაში ამჟამინდელი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი შემოიფარგლება შემთხვევით სპეციალიზებული ტურისტული ჯგუფებით ან ტურისტებით, რომლებსაც სურთ მოგზაურობა შორეულ ადგილებში. უფრო მეტიც, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს რომ შეეძლოს ტურისტებისთვის მეტი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის პროდუქტის შეთავაზება, მოთხოვნაც უფრო სწრაფად გაიზრდებოდა მათზე. დანიშნულების ადგილებზე ცუდი ინფრასტრუქტურა კი იმ გიდებს, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ, ურთულებს პროდუქტის გაყიდვას.

გიდებს დაესვათ კითხვა იმის თაობაზე, თუ რა იქნებოდა პირველი ნაბიჯი, დღესვე რომ დაიწყოს ამ ადგილებში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება. გიდების უმრავლესობის აზრით, ესენია: ყველაზე მიმზიდველი ადგილების გამოყოფა, იმის გამორკვევა თუ იძლევიან ეს ადგილები განვითარების საშუალებას, ადგილობრივების ინფორმირება, რამდენად მნიშვნელოვანია ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი მხარისთვის, მისი გავლებენი. ყველა გიდის მხრი-

დან ყურადღება გამახვილდა ელექტროენერგიის საკითხზე. რეგიონში აუცილებელია ელექტროენერგიის სტაბილურად უზრუნველყოფა. რაჭაში ზამთრის პერიოდში ხშირად მიდის დენი, ზოგჯერ კვირებით. ამ პრობლემის აღმოფხვრა აუცილებელია ტურის წარმატებით ჩატარებისთვის. მნიშვნელოვანია არსებული გზების თოვლისგან დროული გაწმენდა, რადგან ხშირ შემთხვევაში უბრალოდ ვერ ხერხდება სასრიალო ბილიკის დასაწყისამდე ტრანსპორტირება ან ძალიან გართულებულია მიღწევა და ლოჯისტიკა ძალიან რთულდება. ასევე აუცილებელია სოფლის გზების რეაბილიტაცია, რადგან შემცირდეს სამგზავრო მანძილები და გახდეს კომფორტული. ზოგ ადგილებში სასურველია დამატებითი გზების გაყვანა, რაც საშუალებას მისცემდა მათ ზღვის დონიდან უფრო მაღლა ჰქონოდათ მანქანით წვდომა. ასევე მნიშვნელოვანია საფეხმავლო ბილიკების მოვლა და ახალი ბილიკების აშენება, რათა კომფორტული გახდეს მოლაშქრისთვის სიარული და ასევე, სამთო ველოსიპედით გადაადგილება.

# 21 ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ოპერირებისადმი ინტერესი მომავალში

ყველა გიდმა გამოხატა ინტერესი მომავალში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის შესათავაზებელი პროდუქტების გაფართოებისადმი: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მზარდი ბაზარი, ეკო და სათავგადასავლო ტურიზმზე მოთხოვნისა და ინტერესის ზრდა იყო ის მიზეზი, რის გამოც ამჟამინდელ გიდებს სურდათ თავიანთი პროდუქტების გაფართოება. ერთმა გიდმა აღნიშნა საჭიროება, რომ ამ მხარემ მიაღწიოს იმავე დონეს, როგორიც სხვაგანაა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის თვალსაზრისით, სადაც არსებობენ ნიშა ოპერატორები სხვა ქვეყნებიდან სპეციალიზებული ტურისტების გასაყვანად. მეორე გიდს არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა გაფართოების კონკრეტულ იდეებზე, თუმცა გამოთქვა სურვილი, რომ ასეთი შესაძლებლობა გაჩენილიყო მხარეში. გარდა ამისა, ზოგიერთი გიდის აზრით, ეკო და სათავგადასავლო ტურების შეთავაზებით აქცენტი გაკეთდებოდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ნაკლებად ცნობილ ადგილებზე, რაც მათ საშუალებას მისცემდა შეეთავაზებინათ ტურისტებისთვის უფრო მრავალფეროვანი პაკეტი და გაეზარდათ მათი ყოფნის ხანგრძლივობა.

გიდებს ვკითხეთ, განიხილავდნენ თუ არა მათი ამჟამინდელი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის პროდუქტების გაფართოებას სხვა პროდუქტების ჩართვით, როგორიცაა გიდები, ტურები, ეკოსახლებში ინვესტიციები, ოჯახებში ცხოვრება და ა.შ. ზოგიერთი გიდის აზრით, მნიშვნელოვანია ინვესტირება ადგილობრივ რესურსებში, მაგალითად, ადგილობრივი მოსახლეობის დაქირავება, იმ ხალხისა, რომლებიც უკვე დაკავშირებულია ზოგიერთ საჯარო პროდუქტთან. ზოგიერთმა გიდმა განაცხადა, რომ მათი საქმიანობის ხასიათი (როგორც წესი, მცირე, შეზღუდული დროით და ფულით) ზღუდავდა მათ გაფართოებას, თუმცა ამის შესაძლებლობას არ გამორიცხავდნენ, თუკი შეიქმნებოდა სათანადო პირობები. კითხვაზე, დასჭირდებათ თუ არა გიდებს პარტნიორი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის პროდუქციის გაფართოებისთვის, თითქმის ყველამ აღნიშნა პარტნიორთან მუშაობის მნიშვნელობა. გიდებს დიდწილად მიაჩნიათ, რომ პარტნიორი ხელს შეუწყობს მათსა და მომწოდებლებსა და/ან შესაძლებლობებს შორის არსებული დაბრკოლებების დაძლევას და რომ კარგი პარტნიორი უზრუნველყოფს ადგილზე ყოველგვარ კეთილმოწყობას, როგორიცაა გიდები, საოჯახო სასტუმროები, ტრანსპორტი და ა.შ.

იმ გიდებმა, რომლებიც ამჟამად არ სთავაზობენ ეკო და სათავგადასავლო ტურებს, დიდი ინტერესი გამოხატეს მომავალში ასეთი ტურების შეთავაზების მხრივ. ამის მიზეზი იყო რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში ტურისტების ყოფნის ხანგრძლივობის გაზრდა, რაც თავისთავად გულისხმობს ბიზნესის შემოსავლის გაზრდას, ასევე, ქვეყნის უკეთ გაცნობას (რაც შემდგომში განაპირობებს განმეორებით ვიზიტებს) და ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის ტურიზმიდან შემოსავლის მიღების შესაძლებლობის მიცემას. ერთ-ერთი გიდის აზრით, მხარეს ზრდის პოტენციალი აქვს ეკოტურიზმის ხარჯზე, თუ მას მეტი პროდუქტის შეთავაზება შეეძლება. სწორედ ეს არის ყველაზე გავრცელებული პრობლემა, რომელსაც აწყდებიან როგორც გიდები, ისე ტურისტები. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ყოფნის ამჟამინდელი ხანგრძლივობა შემოიფარგლება საშუალოდ 2-3 დღით. ასეთი მცირე ხანგრძლივობის მთავარი მიზეზი არის ორგანიზებული პროდუქტისა და მიმართულებების, ასევე, სასტუმროებისა და გიდების არარსებობა. ამდენად, გიდებს დაესვათ კითხვა მეტი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის პროდუქციის შესათავაზებლად რა დასჭირდებოდათ. ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო ინფრასტრუქტურა, ნაწილობრივ კი მაღალი დონის

საცხოვრებელი. სხვა პასუხები მოიცავდა უკეთ მომზადებულ გიდებს, ტრანსპორტირებას, ხელმისაწვდომობას, გზებს, უსაფრთხო გარემოს.

ყველა გიდმა აღნიშნა პარტნიორის აუცილებლობის საკითხი, იქნება ეს მთავრობა, თემი თუ სხვა კერძო სექტორი, რომელიც ხელს შეუწყობს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის პროდუქტის შექმნას. გიდებს მოეთხოვებათ მაღალი დონის პროფესიონალიზმი, რადგან მათ, ძირითადად, მაღალი კლასის მომხმარებლები ჰყავთ, რომლებიც იხდიან ბევრს და, შესაბამისად, ელიან მაღალი დონის მომსახურებას. ამიტომ, პარტნიორს უნდა შეძლოს შერჩეულ ადგილას საჭირო სერვისებისა და კეთილმოწყობის უზრუნველყოფა.

გიდები ძალიან დააინტერესა ეკო და სათავგადასავლო ტურების შექმნამ მათსავე უკვე არსებული მარშრუტების ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამგვარი ტურებით იქმნება სამუშაო ადგილები და შემოსავლის წყარო ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ეხმარება თემების განვითარებას და ადგილობრივებს ასწავლის, როგორ დაიცვან გარემო.

# 22 ფინანსური ინვესტიციების ინტერესი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმში

დაინტერესებულ მხარეებს ჰკითხეს, რა სჭირდებოდათ მათ წასახალისებლად, რომ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის საქმიანობაში ინვესტირება მოეხდინათ. პასუხები იყო შემდეგნაირი:

- სანდო პარტნიორები და კონტაქტები;
- შესაბამისი ხელსაყრელი პირობები;
- ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ეროვნული ქსელი ტუროპერატორებისა და ტურისტული სააგენტოებისთვის;
- შესათავაზებელი საინტერესო პროდუქტის მრავალფეროვნება;
- პროდუქციისა და მომსახურების მაღალი ხარისხი.

მხარეები დაინტერესდნენ ტურისტული ოპერაციებით, ძვირადღირებული საცხოვრებლებით და მარკეტინგის სფეროში ინვესტიციებით ეროვნულ დონეზე. ინვესტიციამდე ოპერატორებისთვის აუცილებელი პირობები თუ შეთანხმებები მოიცავდა მცირე ინვესტიციას მცირე კერძო პარტნიორთან, კარგ სტრუქტურას, კონტროლის მაღალ დონეს და წერილობით შეთანხმებას ყველა საკითხზე, რომელიც ეხება ტურისტულ ოპერაციას.

# 23 ტურიზმის სექტორის მიმდინარე პრობლემები

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში ტურიზმის სექტორში ოთხი ყველაზე გავრცელებული სისუსტე გამოიკვეთა:

1. მაღალი ხარისხის პროდუქციის, დანიშნულების ადგილებისა და მომწოდებლების ნაკლებობა;
2. არასათანადოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა (გზები, ობიექტები);
3. ადამიანური რესურსისა და პროფესიონალიზმის ნაკლებობა;
4. მთავრობის მხრიდან მარკეტინგის არარსებობა, სარეკლამო საშუალებების ნაკლებობა, საზღვარგარეთ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის კოორდინირებული პოპულარიზაციის ნაკლებობა, არასაკმარისი ინფორმირებულობა.

დაინტერესებული მხარეების აზრით, ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს უშლის უფრო მაღალი გადახდისუნარიანი ბაზრების მოზიდვას. ადგილობრივი თემის თვალსაზრისით, ის ფაქტი, რომ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობას არ აქვს ნათელი წარმოდგენა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის შესახებ, არ იციან, როგორ იზრუნონ თავიანთ ბუნებრივ რესურსებსა და საცხოვრებელ გარემოზე აქციონ ისინი ტურისტულ ღირსშესანიშნაობად, შესაბამისად, მიიღონ სარგებელი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმიდან, ეს ყოველივე ზიანს აყენებს ინდუსტრიას.

ტურისტული პროდუქტებისა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობა გამოიკვეთა მთავარ სუსტ მხარედ. ის, რომ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ადგილების მონახულებისადმი ამჟამად ინტერესი ასეთი დაბალია, განპირობებულია პროდუქტის განუვითარებლობით, რაც ზღუდავს ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობას. მაღალბიუჯეტიანი ვიზიტორები თავს არიდებენ ამ რეგიონში მოსვლას დაბალი ხარისხის სერვისისა და შეზღუდული ინფრასტრუქტურის გამო. ასევე, პრობლემაა ქსელური სასტუმროს არარსებობა, რომელსაც, თავის მხრივ, ბრენდის ცნობადობიდან გამომდინარე, რეგიონში ჩამოჰყავს მაღალბიუჯეტიანი ტურისტი. ქსელური/ბრენდული სასტუმროს არსებობა მისთვის თავისთავად გულისხმობს, რომ ეს ადგილი არის ტურისტულად საინტერესო და უსაფრთხო. ოპერატორებს ბიზნესის გაფართოვებაში დიდად უშლის ხელს, ასევე, არასაკმარისი კვალიფიციური კადრების ფაქტორი, ასევე, ის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ შეუძლია, ჩაერთოს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმში, ვინაიდან არ აქვს ამ საქმიანობის შესახებ სათანადო წარმოდგენა და ცოდნა.

ოპერატორების რეკომენდაციები არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მოიცავდა პროფესიულ ტრენინგებს, სწავლებას და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სარეკლამო საქმიანობის გაძლიერებას, ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის პროექტების განვითარებას და ადგილობრივი თემებისთვის ტრენინგის ჩატარებას იმის თაობაზე, თუ როგორ აქციონ საკუთარი აქტივები ტურისტულ ღირსშესანიშნაობებად. ოპერატორების აზრით, საჭიროა მეტად გამახვილდეს ყურადღება ბაზრის მაღალი დონის სეგმენტის მოზიდვაზე, რომელთათვისაც შესაძლებელი იქნება ძვირადღირებული საცხოვრებლის შეთავაზება თავისი ექსკურსიებით აღნიშნულ მხარეში.

# 24 წინსვლა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმთან ერთად

ჩვენს რესპოდენტებს ვთხოვეთ, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები იმ პირველი გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ, რომელსაც პრიორიტეტულად მიიჩნევდნენ იმ შემთხვევაში, თუ დღესვე დაიწყებოდა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო სწორი პროდუქტის იდენტიფიცირება ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, იმის გარკვევა, აქვს თუ არა ამ პროდუქტებს განვითარებისა და შემდგომ მომხმარებლებზე გაყიდვის პოტენციალი. ასევე საკმაოდ გავრცელებული პასუხი იყო ის, რომ აუცილებელია ადგილობრივ თემებში ცნობიერების ამაღლება იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმს, რამდენად აუცილებელია ბუნებრივი რესურსების დაცვა და საერთაშორისო მოგზაურების მოზიდვა; ასევე, იმ მექანიზმის უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობითაც ეკო და სათავგადასავლო ტურიზმით მიღებული შემოსავლები მივა თემებამდე.

დღეისათვის ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის შემოთავაზებული პროდუქციის დიდი ნაწილი არ ეფუძნება ბაზრის კვლევას ან არ არის შემუშავებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ თემის ძალისხმევის მხარდაჭერისა და გარემოს დაცვისათვის სახსრების თამოყრის მიზნით და არ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოლოდინებსა და მოთხოვნებს. ხშირ შემთხვევაში სთავაზობენ და ყიდიან იმ პროდუქტს, რაც აქვთ. თუმცა არ ქმნიან ახალს, საჭიროებებსა და მოთხოვნებზე დაყრდნობით.

ის, რომ თემზე დაფუძნებული ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი უნდა გასცდეს ამჟამინდელი შეთავაზებს და გადავიდეს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის უფრო ძვირადღირებულ, პრესტიჟულ ფორმაზე, როგორიცაა ქსელური/ბრენდული სასტუმრო, ნამდვილად არის მნიშვნელოვანი შემოთავაზება და სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი. ის ფაქტი, რომ ამბროლაურს აქვს კეთილმოწყობილი, უსაფრთხო და საოპერაციოდ გამართული აეროპორტი, რომელსაც აქვს გაფართოვების, უკვე არის წინაპირობა ამგვარი ბიზნეს-მოდელის განვითარებისა. ამასთანავე, ცაგერის მუნიციპალიტეტში უკვე არსებულ, ამჟამად გაუქმებულ აეროპორტს აქვს ამუშავების პერსპექტივა შიდა ფრენებისთვის. ერთი მხრივ, აეროპორტების არსებობა ცაგერისა და ამბროლაური მუნიციპალიტეტებში, გაზრდის ვიზიტორთა ღამისთევის რაოდენობას და მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებას. ქვეყანაში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის (გზები, საცხოვრებელი, ადვილად მისადგომობა) გაუმჯობესება ზოგიერთ რესპოდენტს უკიდურესად მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნია, ისევე, როგორც ეკო და სათავგადასავლო ტურიზმისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ბილიკები ა.შ.

რაც შეეხება ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მარკეტინგს, მთავრობისადმი წინადადება გულისხმობს დახმარებას რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის იმიჯის შექმნაში საზღვარგარეთ. ამისთვის კი აუცილებელია მარკეტინგისა და რეკლამისადმი უფრო მიზანმიმართული მიდგომა, ასევე, ცნობიერების ამაღლების მიზნით სემინარების ჩატარება, დაინტერესებული მხარეების ინფორმირება იმის შესახებ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი. კერძო ტურიზმის სექტორისთვის განკუთვნილი მარკეტინგული წინადადება მოიცავს ეკო და სათავგადასავლო ტურისტული გამოფენების გამართვას ამ მხარეში ეკო და სათავგადასავლო ტურების პოპულარიზაციისა. სხვა წინადადებები მოიცავს გამოცდილი ტუროპერატო-

რების მოწვევას პროდუქციის გამოსაცდელად, თუ რომელი შეესაბამება ყველაზე უკეთ საზღვარგარეთის მომხმარებლების საჭიროებებს.

ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებაში, მარკეტინგსა და მხარდაჭერაში იდენტიფიცირებული პრობლემები მოიცავდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, როგორც ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი ადგილის შესახებ არასაკმარისი ინფორმირებულობა საზღვარგარეთ და ასევე, იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება ამის დაძლევა უკეთესი პროდუქტების შემუშავებით, ადგილობრივი თემებისთვის მხარდაჭერით და ადგილობრივი აქტივების ტურისტულ ღირსშესანიშნაობად იდენტიფიცირებით, სათანადო ადამიანური რესურსით მომხმარებელთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მდგრადობის უზრუნველსაყოფად (ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტები).

# 25 დასკვნები

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მაღალი დონის ბაზრების პოტენციალის შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის ადგილები, რომლებიც უკვე ემსახურება ამ ბაზარს. ვინაიდან ტურიზმის ეროვნული სააგენტო არ ადგენს სიღრმისეულ სტატისტიკას რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ვიზიტორთა სეგმენტების შესახებ, ძნელი იქნება პროგნოზირება იმისა თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად აღნიშნულ მხარეში მაღალი დონის ბაზარი.

მიდგომა, რომელსაც ხშირად მიმართავენ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისას, არის მცირე საწარმოების შექმნა, რაც, როგორც წესი, იზიდავს ტურისტების ბაზარს. რიგი გარეშე ფაქტორებიდან გამომდინარე, შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეთ ვიზიტორებს, რომ ისარგებლონ ამ საწარმოებით. ერთ-ერთი ფაქტორია, მაგალითად, მათ შესახებ ინფორმაცია გლობალური ან რეგიონული მასშტაბით. ხშირად ამ ტიპის დისტანციური ოპერაციები იზიდავს ბიუჯეტურ ტურისტებს, რომლებსაც აქვთ გარკვეული მოქნილობა მარშრუტში და შეიძლება განიხილონ სტუმრობა, როგორც კი გაიგებენ ამის შესახებ, მაგრამ კვლავ დრო სჭირდება მათთან დაკავშირებას და იქ მისვლას.

ქსელური/ბრენდული სასტუმროს მშენებლობა გააადვილებს ვიზიტორების მიზნობრივ მოზიდვას კურორტის მფლობელებისთვის ხელმისაწვდომი უკვე გამართული მარკეტინგული და შუამავლური არხების წყალობით.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების დაგეგმვის ეტაპზე მთავრობასთან და პროექტის ინვესტორებთან პარტნიორობით უნდა იქნას განხილული რეგიონის არაერთი რეალური და პოტენციური ბაზარი, რომლებიც გავლენას მოახდენენ რამდენიმე დონეზე. შესაძლოა დაინტერესებულმა მხარემ ფოკუსირება მოახდინოს ტურისტული ბაზრის ერთი ტიპის სეგმენტზე (ანუ მაღალი დონის სეგმენტზე), მაგრამ მან ეს უნდა გააკეთოს რეგიონში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით. ამასთან, აღნიშნული სხვებსაც აძლევს შესაძლებლობას, შევიდნენ ბაზარზე სხვა პროდუქტის მისაწოდებლად, რომ დააკმაყოფილონ მთელი რიგი ტურისტული მოთხოვნილებები და განავითარონ მთლიანი რეგიონი. თუ ყურადღება გამახვილდება ტურისტული ბაზრის მხოლოდ ერთ ტიპზე ან პროდუქტზე, მაშინ ტურიზმი ვერ შეძლებს თემის გაფართოვებას და მომავალში მიგვიყვანს მდგრადობის პრობლემასთან. მთელი რიგი ღონისძიებების, ღირსშესანიშნაობებისა და სერვისების გაერთიანებით შესაძლებელი იქნება შეკრული პროდუქტის შეთავაზება, რომელიც შორეულ პერსპექტივაში უზრუნველყოფს დარგისა და რეგიონის მდგრადობას.

## 25.1. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების წინაპირობები

პროექტ „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლის" ფარგლებში განხორციელებული კვლევის მთავარი წინაპირობაა დაინტერესებულ მხარეთა განსხვავებული ინტერესებისა და განვითარების საერთო მიზნებისა და ამოცანების გამოკვეთა ტურისტული კომპონენტის შესაფასებლად. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიზანშეწონილობის საკითხი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში განხილული უნდა იქნას ქვემოთ ჩამოთვლილი წინაპირობების კონტექსტში. საინვესტიციო თვალსაზრისით ტურისტული წამოწყების განხორციელებისთვის გონივრული პირობები მოიცავს:

- სტაბილური ეკონომიკური გარემო, რომელიც საშუალებას იძლევა, ინვესტიციებმა იმუშაოს და გაიზარდოს, ასევე ეფექტური პოლიტიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციების უსაფრთხოებას;
- საკუთრების უფლებათა დონე, რომელიც საშუალებას იძლევა, ეფექტურად და ინკლუზიურად იქნას მიღებული გადაწყვეტილება და იმუშავებს ადგილობრივ თემებში;
- ვიზიტორებისთვის შექმნილი უსაფრთხო და დაცული გარემო;
- ბაზრის მიზანშეწონილობა, რომელიც ასახავს კონკრეტული ინვესტიციების მოთხოვნასა და შემოსავლიანობას;
- ჯანმრთელობისთვის დაბალი რისკი, შესაბამისი სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა;
- მარტივად მისადგომი გარემოს შექმნა და არსებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა;
- ლანდშაფტები და/ან ბიომრავალფეროვნება, რაც უზრუნველყოფს ტურისტული ჯგუფის მოზიდვას;
- ეკოსისტემები, რომლებიც მიიღებს ტურისტთა დასაშვებ ნაკადს და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობა;
- ადგილობრივი თემი, რომელსაც ექნება მაღალი ცნობიერება ტურიზმის დადებითი და უარყოფითი ზემოქმედების, ასევე მასთან დაკავშირებული პოტენციური შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ და დაინტერესებულია ტურისტების მიღებით.

ზემოაღნიშნული წინაპირობების დაკმაყოფილება სულაც არ ნიშნავს, რომ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი აუცილებლად წარმატებული იქნება. ეს არის წინაპირობა იმისა, რომ ღირს კონსულტაციისა და შეფასების შემდეგ ეტაპზე გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში არის რიგი პრობლემები, რომლებიც ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენენ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისთვის, აქ არსებული პირობები ქმნის ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს.

ჩვენი კვლევისთვის შემუშავებული მეთოდი მოიცავდა შეფასებითი სამუშაოების ჩატარებას. ეს შეფასება, პირველ ყოვლისა, გულისხმობს იმის გარკვევას, თუ რამდენად აქვს საფუძველი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმს, რამდენად მიზანშეწონილია და განხორციელებადი ტურიზმის ეს მიმართულებები. ეს ეტაპი იძლევა წარმოდგენებს, რომლებიც ეფუძნება ავტორების უხეშ ხარისხობრივ შეფასებებსა და ვარაუდებს. ამ მხარეში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიზანშეწონილობის ეს სწრაფი შეფასება იძლევა საშუალებას, მხოლოდ გარკვეულ დონეზე შეფასდეს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიზანშეწონილობა და განხორციელებადობა. საჭირო იქნება შემდგომი ანალიზი, რადგან სწორედ ეს ანალიზი წარმოადგენს ქვაკუთხედს ყველა შემდგომი მოსაზრებისთვის, თუმცა ამ ანალიზს ხშირად უგულებელყოფენ პრაქტიკაში.

## 25.2. რეკომენდაციები თემზე დაფუძნებული ეკო და სათავგადასავლო ტურიზმისთვის

იმისათვის, რომ ტურიზმმა უზრუნველყოს სოციალური დანახარჯებისა და სარგებლის დადებითი თანაფარდობა, ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა უნდა მიიღოს სარგებელი ტურისტების ნაკადისგან, და არამხოლოდ ტვირთად დააწვეს მისი ხარჯები. ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებაში დიდი ხანია წარმოადგენს ბუნებისდამცველი ორგანიზაციების სტრატეგიას, ეს სტრატეგია იძლევა შესაძლებლობას ბუნების დაცვა ინტეგრირდეს ეკონომიკურ განვითარებასთან.

ხშირად აღმოჩნდება ხოლმე, რომ რთული ტურისტული სისტემები მოითხოვს მართვისადმი უფრო კომპლექსურ მიდგომას, ვიდრე ამისთვის მზად არიან ხოლმე ადგილობრივები. უფრო მეტიც, თუკი საწარმოს დაარსების შემდეგ გარემოსდაცვითი ორგანიზაცია შეწყვეტს მხარდაჭერას, რომელიც, ცხადია, ვერ გაგრძელდება სამუდამოდ, შეიძლება დაზარალდეს. ხშირად, ვარაუდები კონკრეტული ადგილის ან გამოცდილების კონკურენტუნარიანობის შესახებ არარეალურია და არ ეფუძნება კვლევას, რასაც მივყავართ მარკეტინგული ძალისხმევის არასწორი წარმართვისკენ. ადგილობრივი თემებისა და მხარდამჭერი სააგენტოების არასათანადო კომპეტენცია ტურიზმის სფეროში ხშირად იწვევს გავრცელებულ შეცდომებს. მაგალითად, როგორიცაა შეთავაზების მხარის, ასევე მარკეტინგის ან კერძო სექტორთან პარტნიორობის უგულებელყოფა.

საერთო ჯამში, რეკომენდებულია თემის ჩართულობის ორი ვარიანტი:

1. ქსელური სასტუმრო, რომელიც უზრუნველყოფს მაღალბიუჯეტიანი ტურისტის ჩამოყვანას რეგიონში;

2. ადგილობრივი ფიზიკური პირები ან თემები, რომლებიც ყიდიან საქონელს (ხელნაკეთ ნივთებს, პროდუქტებს) და მომსახურებას (გიდები) ან მართავენ და აკონტროლებენ საკუთარ ტურისტულ ბიზნესს.

## 25.3. მცირე, მიკრო საწარმოები და პარტნიორობა

ასევე, უნდა არსებობდეს საოპერაციო შეთანხმებები ადგილობრივ მომწოდებლებსა ან მეწარმეებს და ინვესტორს შორის კონკრეტული საქონლის ან მომსახურების მიწოდებაზე, ასევე, სპეციალური ცოდნის შეძენასთან ან საწარმოს განვითარებასთან დაკავშირებულ სწავლებაზე. ადგილობრივ მეწარმეებთან დადებული შეთანხმებები შეიძლება დაეხმაროს მათ, გახდნენ კომერციული მომწოდებლები ან დამოუკიდებელი ტურისტული გიდები და ა.შ.

დროთა განმავლობაში, იმის მიხედვით რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მყოფი თემები თუ როგორ გაზრდიან საკუთარ შესაძლებლობებსა და გამოცდილებას, მათ გაუჩნდებათ მეტი შესაძლებლობა, ისწავლონ და განავითარონ საკუთარი ტურისტული წარმოება. ეს, ასევე, ნიშნავს იმას, რომ განვითარება შეიძლება დაუყოვნებლივ დაიწყოს ისე, ყოველგვარი სერიოზული სწავლებების გარეშე. თუმცა, საჭირო იქნება მუდმივი სწავლების სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული საჭიროებების შეთვისებას. გარდა ამისა, იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი, უფრო მეტი ყურადღება შეიძლება მიექცეს თემებს და იმას, თუ როგორ დაიწყონ მათ თავიანთი ბიზნესი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება მჭიდრო სამუშაო ურთიერთობის ჩამოყალიბება კვალიფიციურ ტუროპერატორებთან. ისინი უნდა შეირჩეს გულდასმით, რაც მოგვცემს გარანტიას, რომ საიმედოდ წარმართავენ ბიზნესს. ადგილობრივი ტურისტული ბიზნესის წარმატებისთვის ხელისშემშლელი დომინანტური ფაქტორი არის ის, რომ თემებს არ აქვთ თვითწარდგენისა და გაყიდვის უნარი, რათა ადეკვატურად დააკმაყოფილონ ტურისტული ბაზარი.

ადგილობრივ ტურისტულ საწარმოებში ტურისტების მოსაზიდად ხშირად არ არის მიღებული მხედველობაში ტუროპერატორის გამოყენება, მაშინ, როცა ამან შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს რისკი. ოპერატორის ცოდნა პროდუქტებისა და მომხმარებლების შესახებ, ოპერაციების მართვის გამოცდილება, მისი კავშირები გამსვლელ ტუროპერატორებთან, ტურიზმის სისტემის ცოდნა და უკვე ჩამოყალიბებული სარეკლამო ქსელები, ანიჭებს მას მნიშვნელოვან უპირატესობას იმ თემებთან შედარებით, რომლებიც ცდილობენ თავად გააკეთონ ეს ყველაფერი. თუმცა გაყიდვადი ტურის შექმნას შეიძლება დრო დასჭირდეს. პირველი ნაბიჯი შეიძლება იყოს ტურის პროგრამის ტესტირება ერთ ან ორ ჯგუფთან. ამას ასევე ის უპირატესობაც აქვს, რომ თემს აცნობს სტუმართან მოპყრობის გამოცდილებას. სხვა მოსაზრებები მოიცავს იმის უზრუნველყოფას, რომ შემუშავებული პროდუქტები ეფუძნებოდეს თემის ტრადიციულ ცოდნას, ღირებულებებსა და უნარებს.

## 25.4. თემის შეფასება

მნიშვნელოვნად ზრდის გრძელვადიანი წარმატების შესაძლებლობას რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული მხარის, მათ შორის ადგილობრივი თემის, ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისა და მთავრობის, ჩართვა ტურიზმის დაგეგმვის შემუშავებასა და განხორციელებაში. იმისათვის, რომ მოზიდული იქნას დაინტერესებული მხარეების ადეკვატური წარმომადგენლობა, მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრის ჩართვა.

იმის გაგება, რამდენად შესაძლებელი იქნება თემების გააქტიურება მხარეში, შესაძლებელი იქნება იმის განსაზღვრით, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მაცხოვრებლებს ტურიზმის განვითარების მიმართ, რამდენად აქვთ წარმოდგენა მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე ვიზიტორთა სავარაუდო პოზიტიური და უარყოფითი ზემოქმედების შესახებ, ან ამასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე. ეს ასევე გულისხმობს ტურიზმის სფეროთი დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტების, ტურიზმის სექტორსა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების შესახებ მათი შეხედულებების ანალიზს. თემის დაინტერესებულ მხარეებთან ერთობლივი დიალოგი საშუალებას მისცემს საზო-

გადოებას, გამოთქვას თავისი მოსაზრება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებისა და პრობლემების შესახებ.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ტურიზმის განვითარების კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება საჭირო გახდეს კონკრეტული საკითხების დამატებითი შეფასება, მაგალითად, როგორიცაა ბიომრავალფეროვნებისა და ტურიზმის საკითხები, ზოგადად ტურიზმის განვითარება, ძირძველი საზოგადოების პრობლემები.

## 25.5. ეკოლოგიური შეფასება

დაცულ ტერიტორიებზე ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ყველაზე აშკარა და დოკუმენტირებული შედეგია გარემოზე ზემოქმედება. სანამ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი განვითარდება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, საჭირო იქნება ბიომრავალფეროვნების არსებული მდგომარეობის შედარებითი ანალიზი, რათა შემდგომში შესაძლებელი იყოს შედეგებზე დაკვირვება და შეფასება ამ მაჩვენებლის მიხედვით. ამ დოკუმენტში რეკომენდებული მონიტორინგისა და შეფასების პროგრამა მოითხოვს ინდიკატორთა საბაზისო კომპლექტს, რის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ზემოქმედების დონის გაზომვა დროთა განმავლობაში და დაცული ტერიტორიის ბუნებრივ რესურსებში მომხდარი ცვლილებების (დადებითი და უარყოფითი) დადგენა. დოკუმენტირებად ასპექტებს მიეკუთვნება:

- ფლორისა და ფაუნის სახეობები, მათი ენდემურობა, სტატუსი, არსებობს თუ არა გადაშენების საფრთხე;
- მოქმედი ეკოსისტემები (მაგ. ჭაობები, ტყის მოზაიკა, მდელოები და ა.შ.);
- ფიზიკური ლანდშაფტები (მაგ. ბიოლოგიური კორიდორები, მთის სისტემები);
- წყლის რესურსები (მდინარეები, ტბები, ლაგუნები, წყალსაცავები და ა.შ.);

## 25.6. პარტნიორული ურთიერთობები

ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების საქმეში წარმატების მისაღწევად უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის მთელი რიგი მომგებიანი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება. ეს მოიცავს მთელ რიგ პასუხისმგებლობებს, რომლებიც აუცილებელია ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის დაგეგმვის, განვითარების, ურთიერთქმედებისა და მართვისთვის. ამასთან, თითოეული დაინტერესებული მხარე, თავისი ძლიერი მხარეების მიხედვით, წვლილს შეიტანს ამ პროცესში. თითოეულ დაინტერესებულ მხარეს მოეთხოვება გარკვეული როლის შესრულება და პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღება, რათა გვქონდეს გარანტია იმისა, რომ გაღებული ძალისხმევა გამოიღებს შედეგს და არ იქნება ამაო.

პარტნიორობის ჩამოყალიბება საჭირო იქნება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თანაც შემდგომი ნაბიჯები დამოკიდებული იქნება პროგრესის ტემპსა და წარმატებაზე. დაინტერესებულ მხარეებს შორის შეთანხმებები მოითხოვს ყველას აქტიურ და ერთობლივ მონაწილეობას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ეფექტური პროცესი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება შესწორებების ან ცვლილებების შეტანა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების მიხედვით დროთა განმავლობაში.

საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030 ითვალისწინებს ამგვარი პარტნიორობის ჩამოყალიბების აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ ეკოტურიზმის ზემოხსენებული სტრატეგიის განხორციელებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკოორდინაციო კომიტეტის დაარსება. საკოორდინაციო კომიტეტი იკრიბება წელიწადში ორჯერ, ფიზიკურად ან ვირტუალურად. მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან:

- GNTA – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (წამყვანი);
- NFA – ეროვნული სატყეო სააგენტო;
- APA – საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო
- GEA – საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია
- GIZ – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, როგორც პროცესის მხარდამჭერი;
- საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიზნით მრჩეველთა საბჭოში შეიძლება მოიწვიონ დამატებითი პროფესიული ასოციაციები, ექსპერტები და სხვა დონორი ორგანიზაციები

GNTA ამ შემთხვევაში, როგორც ეკოტურიზმის განვითარების ინიციატორი, ვალდებული იქნება თავად იკისროს წამყვანი როლის შესრულება ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების პროცესში, გაუწიოს დაინტერესებულ მხარეებს კონსულტაცია, ტექნიკური დახმარება და მხარდაჭერა, უზრუნველყოს ამ მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლა და მდგრადი ეკოტურიზმის განვითარების ინიცირება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.

## 25.7. ტურიზმის დეპარტამენტი

ტურიზმის დეპარტამენტი არის რეგიონში ტურიზმის განვითარების საქმეში წამყვანი სააგენტო და, შესაბამისად, მთავარი როლი აკისრია შესაბამის მუნიციპალიტეტებში ტურიზმის კონსულტირებაში, მართვასა და მონიტორინგში. დეპარტამენტის ფუნქცია-მოვალეობები მოიცავს შემდეგს:

- ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისა და დაცული ტერიტორიების მართვის სტრატეგიების მთავრობის ყველა დონეზე განხილვის ხელშეწყობა;
- რეგიონში ტურიზმის გაუმჯობესებისა და ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ინიციატივის ხელმძღვანელობა;
- ცენტრალური ხელისუფლების ლობირება, რათა გამოყოს სახსრები ეროვნული ბიუჯეტიდან რეგიონში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისთვის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო ცენტრის, რეგიონული ბროშურის და ა.შ. მეშვეობით;
- სათემო ტურიზმის პროექტების მიხედვით წამოყენებული წინადადებების დამტკიცების პროცესისთვის ხელშეწყობა და ამასთან დაკავშირებული პროცესების წარმართვა;
- რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის დაცულ ტერიტორიებზე ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებასთან ან მართვასთან დაკავშირებულ დონორთა მოზიდვა და მათი წინადადებების დამტკიცება.
- ტურისტული საქმიანობისთვის საჭირო ყველა პერსონალის დაქირავება და მართვა.
- ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა უფლებამოსილ უწყებებთან თანამშრომლობა, რათა მომზადდეს განვითარების გეგმები მისი კონტროლის ქვეშ არსებული ტურისტული ადგილების, ტურისტული ცენტრებისა და კურორტების დაცვის მიზნით.
- ტურისტული სერვისების მონიტორინგი.
- ტურიზმის განვითარების მიზნით ინვესტორებთან თანამშრომლობა.

## 25.8. დაცული ტერიტორიების მართვა

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დაცული ტერიტორიების სისტემის დაფუძნების, ფუნქციონირებისა და მართვის სახელმწიფო პოლიტიკას, ქმედებათა კოორდინირებასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. დაცულ ტერიტორიებს, გარდა დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა – კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო.

მათი როლები და პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:

- ტურიზმის ინფრასტრუქტურის საჭიროებისამებრ მართვა და შენარჩუნება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში;
- ნებართვის გაცემა რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.
- ოპერატორის ლიცენზიებისა და ინვესტორების იჯარების გაცემა, მათი შესრულებისა და შესაბამისობის შეფასება პოლიტიკასთან, რეგულაციებთან, ქცევის კოდექსებთან და ა.შ. და აუცილებლობის შემთხვევაში საოპერაციო ლიცენზიების, იჯარისა და ა.შ. გაუქმება;
- მართვის გეგმაში განსაზღვრული ტურისტული ზონების დამტკიცების მართვა;
- მდგრადი ფინანსური მექანიზმისა და ხარჯ-სარგებლის გაზიარების სახელმძღვანელო პრინციპების, ტურიზმის კომიტეტისა და სათემო ფონდების შემუშავებასა და განხორციელებაში წვლილის შეტანა;

## 25.9. ტურიზმის კერძო სექტორი

გარედან შემომავალი ტუროპერატორები უზრუნველყოფენ უმნიშვნელოვანეს კავშირს თემებსა და ტურისტებს შორის კავშირების შექმნით, ტურისტების მოძიებითა და ადგილზე ჩამოყვანით. შემომავალი ოპერატორის ფუნქციები და მოვალეობები მოიცავს შემდეგს:

- პროდუქტის ან ტურის მარკეტინგი, შეფუთვა და გაყიდვა.
- ტურისტებისთვის ლოჯისტიკის ორგანიზება;
- პროდუქტების წყარო, სადაც მათ ხელმისაწვდომობას უშუალოდ თემი უზრუნველყოფს;
- სათემო კომიტეტისა და ფონდის სარგებლის თანაბარ გადანაწილებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა;
- ფინანსური მექანიზმისა და ხარჯისა და სარგებლის განაწილების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში წვლილის შეტანა.

საზოგადოებასა და ადგილობრივ ტუროპერატორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი უპირატესობა არის ის, რომ შესაძლებელია ზემოქმედების კონტროლი, დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა, განვითარების დონის განსაზღვრა და სხვა ვალდებულებებისა და მოთხოვნების დადგენა. ოპერატორის გამოყენების შესაძლო უარყოფითი მხარე არის ის, რომ შემოსავლის ნაწილი რეგიონის გარეთ გავა. ამ რისკის მინიმუმამდე შემცირება შესაძლებელია დაგეგმვის ეტაპებზე, როდესაც მიიღება გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ოპერატორებმა უნდა გადაიხადონ ან წლიური გადასახადი, ან პროცენტი თითოეულ ტურისტზე (რომელიც საბოლოოდ გადაეცემა მომხმარებელს), ან ამ კონცეფციის რომელიმე ვარიანტი.

## 25.10. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ოთხივე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია

მხარის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო ყველა იმ საზოგადოებრივ საქმიანობაზეა პასუხისმგებელი, რომელიც ხორციელდება ამ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. ხელისუფლების ორგანოთა ფუნქციები და მოვალეობები მოიცავს შემდეგს:

- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ტურიზმის განვითარების სტანდარტებთან და სარგებლის განაწილებასთან დაკავშირებული წესებისა და რეკომენდაციების დაცვა და შენარჩუნება.
- მხარეში ინვესტორების საქმიანობისთვის ხელშეწყობა.
- ტურიზმის განვითარების სტანდარტებისა და საზოგადოებასთან კონსულტაციების სახელმძღვანელო პრინციპების გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა.
- უზრუნველყოფა იმისა, რომ ინვესტორები მიჰყვნენ და დაიცვან ეს სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები, ხოლო ინვესტიციები შეესაბამებოდეს თემისა და რეგიონის ეკონომიკური განვითარების გეგმებს.

# 26 ეტაპობრივი განხორციელება

 იმისათვის, რომ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით მიღწეული იქნას მაქსიმალური წარმატება, აუცილებელია, უზრუნველყოფილი იყოს განხორციელების ეტაპობრივი მიდგომა. ამგვარად, საჭირო მოთხოვნები წარმატებით სრულდება განვითარების უფრო რთულ ეტაპებზე გადასვლამდე. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა დაინტერესებული მხარე სათანადოდ იქნება აღჭურვილი და მომზადებული იმ შედეგებთან საბრძოლველად, რომლებიც თან სდევს რეგიონში ტურიზმის შემოსვლას. განხორციელების ყველა ეტაპი უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთიანი, გრძელვადიანი მიდგომა ამ მხარეში ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ დაგეგმვასთან მიმართებით, ამასთანავე, განვითარების ყოველი ახალი ეტაპი არის ერთიანი, მთლიანი პროცესის ლოგიკური ნაწილი. შემდგომი წინსვლისაკენ მიმავალი ნაბიჯების გადასადგმელად შესაბამისმა სტურქტურამ უნდა შეიმუშაოს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მართვის გეგმა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისთვის.

გეგმის სტრუქტურა უნდა დაიყოს სამ ეტაპად: I ეტაპი – დაფუძნება, II ეტაპი -მომზადებ და III ეტაპი – განხორციელება. ეს სამი ნაბიჯი რეკომენდებულია კვლევის კონსულტანტების მიერ, როგორც აუცილებელი ნაბიჯები და აღწერს შესაბამის ქმედებებს, რომელთა განხორციელება ან დელეგირება შეუძლია ზემოაღნიშნულზე პასუხისმგებელ სტრუქტურას. რამდენიმე დაინტერესებულ მხარეს (ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს) განხორციელებისთვის ფიქსირებული დრო დასჭირდება სხვადასხვა ეტაპზე, საქმიანობის ტიპიდან და სათანადო მხარდაჭერიდან გამომდინარე. ყველა ეტაპი უნდა იქნას განხილული ამ მხარეში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის ერთიანი მიდგომის ფარგლებში.

I ფაზა საფუძველს უყრის ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებას. ამ ეტაპზე ასახული აქტივობები მოიცავს საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას, ასევე ყველა საჭირო შეთანხმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მომზადებას, რომლებიც აუცილებელი იქნება ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის დაწყებამდე. ეს ფაზა უნდა მოიცავდეს სახელმძღვანელო პრინციპებს, მონიტორინგისა და შეფასების პროგრამებს, ასევე, პოტენციალის გაზრდას. II ფაზა არის მოსამზადებელი ეტაპი, რომელზეც თემი და რეგიონი ორგანიზდება ეკოტურიზმის განსახორციელებლად. ეს ეტაპი უნდა მოიცავდეს საჭირო მუშაკების მოძიებას, მიზნობრივ სწავლებას და პოტენციალის შემდგომ ზრდას, პროდუქტის შემუშავება/მომზადებას, ასევე სარგებლის განაწილების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებასა და დანერგვას. III ეტაპი არის განხორციელების ეტაპი, სადაც რეალიზდება წინა ორი ეტაპის ყველა ასპექტი. იგი მოიცავს საბოლოო ტურისტული ღონისძიებების და ოპერაციების ორგანიზებას, კავშირებისა და ტურისტული პროდუქტების შექმნას. სავარაუდოდ, თითოეულ ფაზას დაახლოებით 8-16 თვე დასჭირდება, რაც დამოკიდებულია თემის პროგრესზე, რესურსების ხელმისაწვდომობაზე, ფინანსურ მობილიზაციაზე, ასევე ნებისმიერ გაუთვალისწინებელ მოვლენაზე.

# 27 ეტაპი 1 – დანერგვა

## 27.1. ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მართვის გეგმა

ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მართვის გეგმა არის დოკუმენტი, რომელშიც გადმოცემულია რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი დაცულ ტერიტორიაზე და ეფუძნება კონკრეტული დაცული ტერიტორიის მართვის საერთო გეგმას. როგორც წესი, გეგმა წარმოადგენს მართვის საერთო გეგმაში დადგენილი ზოგადი პრინციპების დეტალურ გაგრძელებას, როგორიცაა დაცული ტერიტორიის მართვის საერთო მიზნები, ზონირების სტრუქტურა და რეკომენდაციები ეკო და სათავგადასავლო ტურიზმისთვის. გეგმის ძირითადი ფილოსოფია იქნება ისეთი ვითარების შექმნა, რომელიც დაარეგულირებს ტურიზმის განვითარებას რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ფარგლებში, ასევე, პროდუქტის დივერსიფიკაცია, რომ წაახალისოს კერძო სექტორი და ადგილობრივი თემები, რათა მათ განავითარონ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმთან დაკავშირებული აქტივობები აღნიშნულ მხარეში და მის ფარგლებს გარეთ.

გეგმა უნდა მოიცავდეს სხვადასხვა გამოცდილების, განთავსების ტიპებისა და ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ობიექტებისთვის რელევანტური ადგილების შეთავაზებას. მიუხედავად იმისა, რომ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მართვის გეგმა ინიცირებულია თავდაპირველი სამუშაოების ეტაპზე, ანუ პირველ ფაზაში, მისი დამუშავება საჭირო იქნება ყველა ფაზაში, რათა მხედველობაში იქნას მიღებული ცვალებადი პირობები. თუმცა, იდეალურ შემთხვევაში, გეგმის განხორციელება უნდა დაიწყოს მე-2 ეტაპზე.

ტიპური ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

- გეგმის წინარეისტორია, მიზნები და კონტექსტი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მართვის გეგმის საერთო ინტეგრაციის ფარგლებში.
- იმ პროდუქტების, ღირსშესანიშნაობებისა და ობიექტების დეტალური აღწერა, რომლებიც უნდა განვიხილოთ, როგორც საჭირო რესურსები, საზოგადოების ჩართულობა, პოტენციური ზეგავლენა და პროდუქტის გამომუშავება.
- ტურისტული კონცეფციის ან ბრენდის შემუშავება, რაც ასევე მოიცავს სხვა ღირსშესანიშნაობებთან, პროდუქტებთან და დარგებთან დაკავშირებულ სათანადო თემებსა და კავშირებს.
- ტერიტორიული გეგმა, რომელიც მოიცავს ტურიზმის განვითარებისა და ზონირების კონკრეტულ გეგმებს.
- სატრანსპორტო გეგმა, რომელშიც მითითებულია შესაძლო მარშრუტები, სამთო ბილიკები, გამანაწილებელი პუნქტები და ა.შ. ტურისტული აქტივობებისა და გადაადგილებისთვის, რათა თავიდან იქნას აცილებული დამატებითი გზებისა და ბილიკების ტურისტული გამოყენებისთვის შენება, ასევე, შეიძლება დადგინდეს გამტარუნარიანობა, რამდენადაც ამ სატრანსპორტო კვანძებმა შეიძლება იქონიოს დიდი გავლენა.
- საპილოტე პროექტების, პარტნიორების, თემების მონაწილეობის ფორმების, სასწავლო ღონისძიებების განსაზღვრა და ა.შ.
- ტურიზმის მხარდაჭერის სერვისებისა და ასპექტების განსაზღვრა, როგორიცაა ზეპირი გადაცემა, სერვისები, ინფრასტრუქტურა და ა.შ.
- განვითარების ჩარჩო, მათ შორის აქტივობების დასრულების ვადები და ადეკვატური მექანიზმები გეგმის შესახებ გამოხმაურებისთვის ყველა დაინტერესებული მხარისგან.

## 27.2. მონიტორინგისა და შეფასე-ბის პროცედურები

მონიტორინგი და შეფასება (M&E) გადამწყვეტია ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის წარმატების შესაფასებლად, ასევე მოქნილი მართვის პრობლემებისა და სტრატეგიების დასადგენად. პროგრამის შეფასება აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება პასუხობდეს დარგის, თემისა და სამთავრობო დაწესებულებების მოთხოვნებს. მონიტორინგისა და შეფასების საშუალებით შესაძლებელი იქნება ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ეფექტურობის განსაზღვრა, როგორც სიღარიბის დაძლევის, ბუნების დაცვის, ეკონომიკური გაუმჯობესების და ა.შ. სტრატეგია. უნდა შეიქმნას მონიტორინგისა და შეფასების პროგრამები ბუნებრივ რესურსებში, თემისა და ტურიზმის საარსებო საშუალებებში მიმდინარე ცვლილებების (დადებითი და უარყოფითი) შესასწავლად.

პროექტები მნიშვნელოვნად გაძლიერდება რეგულარული მონიტორინგისა და უკუკავშირების მეშვეობით, რათა შეფასდეს წარმატება და გამოვლინდეს სისუსტეები, რომლებიც შეიძლება საჭიროებდეს შესწორებას. მარტივი ინდიკატორები უნდა იყოს შეთანხმებული თემთან და ეცნობოს მას. ეს ინდიკატორები უნდა მოიცავდეს ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ადგილობრივი თემის რეაქციასა და კეთილდღეობას, ვიზიტორთა კმაყოფილებას და გარემოს ცვლილებებს. მონიტორინგი მარტივი უნდა იყოს, უკუკავშირი კი მიღებული უნდა იყოს ვიზიტორებისაგან, ტუროპერატორებისა და ადგილობრივი მოსახლეობისგან. შესაძლოა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს დასჭირდეთ მონიტორინგის პროცესების შესწავლა.

აუცილებელია ტურისტული საქმიანობის მასშტაბებისა და მისი ზემოქმედებისთვის თვალყურის დევნება. უნდა შემუშავდეს მონახულებადი ადგილების მონიტორინგის ეფექტური პროგრამა, რათა გამოვლინდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ტენდენციები გარემოს პირობებთან, ვიზიტორთა შთაბეჭდილებებთან და ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მონიტორინგის ტიპური კრიტერიუმები, რომლებიც ეხება მიუღებელ ზემოქმედებას, მოიცავს როგორც ბიოფიზიკურ (ეროზია, მცენარეული საფარის დაზიანება, წყლის ხარისხი, სივრცული გავრცელება, დამაბინძურებლები ნივთიერებები), ისე სოციალურ (ვიზიტორთა ქცევები, მათი კმაყოფილება, ობიექტების სტანდარტები, თემზე ზემოქმედება, სოციალური ცვლილებები) მხარეებს.

ტიპური მონიტორინგის პროგრამა მოიცავს ზემოქმედებისა და ინდიკატორების იდენტიფიცირებას, გაზომვის მეთოდების შერჩევას, მისაღები ცვლილებების საზღვრებისა ან დიაპაზონის განსაზღვრას დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, ოპერატიული მონიტორინგის გეგმის შემუშავებას, პერსონალის, მენეჯერებისა და თემის წევრების ტრენინგს მონიტორინგის წარმართვაში, მონიტორინგის ჩატარებასა და მონაცემების შესწავლას, მონიტორინგის შედეგების წარდგენას ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ასევე, მონიტორინგის პროგრამის შეფასებასა და ახსნა-განმარტებითი სამუშაოების ჩატარებას.

## 27.3. ტურიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლება

ცნობიერების ამაღლების მიზანს წარმოადგენს თემებისთვის იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ უკეთ გაიაზრონ ტურიზმის ბუნება და მისი შედეგები, ასევე ის, თუ როგორ აისახება ეს ტერიტორიის დაცვასა და შენარჩუნებაზე. ვორკშოპები, ფლაერები, ვიდეორგოლები, საჯარო შეხვედრები, სპეციალური ვებინარები იქნება ამ ინფორმაციის გავრცელების გასაღები. ამ ყოველივემ უნდა უზრუნველყოს ის, რომ თემებს ჰქონდეთ სრულფასოვანი ცოდნა ტურიზმის შესახებ და შეეძლოთ, გამოიყენონ ეს ინფორმაცია იმისათვის, რომ მიიღონ გააზრებული გადაწყვეტილება თავიანთ თემში ტურიზმის განვითარების ტიპისა და დონის შესახებ.

სანამ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმს წამოიწყებს, თემი მზად უნდა იყოს იმ შესაძლო შედეგებისთვის, რომლებიც შეიძლება თან სდევდეს მის განვითარებას. ტურიზმის სფეროში პოტენციალის ზრდა უნდა მოიცავდეს ტურიზმისა და ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის კონცეფციებს, ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ტიპებს და მონაწილეობის დონეს, ტურიზმის დადებით და უარყოფით გავლენებს გარემოსა და საზოგადოებაზე, ეკოტურიზმის წარმატებაზე გავლენის მქონე ფაქტორებს, ეკოტურიზმში თემის მონაწილეობის ფორმებს, სარგებელს, რომელიც შეიძლება მივიღოთ ეკოტურიზმისთვის გამოსადეგარი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისგან.

ცნობიერების ამაღლების პროცესს გარკვეული პერიოდი დასჭირდება, რათა თემებმა შეძლონ ინფორმაციის ათვისება და კონკრეტული პრობლემების წამოჭრა. ეს, ასევე, აძლევს მათ შესაძლებლობას, გაავრცელონ ეს ინფორმაცია უფრო ფართოდ, რათა მთელი თემი იყოს საქმის კურსში. ასევე საჭირო იქნება ადგილობრივი თემის ტრენინგი სხვადასხვა დონეზე, რაც დამოკიდებული იქნება მოცემული მხარისთვის შეთავაზებული ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ტიპებსა და მონაწილეობის დონეზე.

შევსებულმა კითხვარებმა ცხადყო, რომ ტურიზმის სფეროში ჩართული პირები გარკვეული ტიპის ტრენინგებს ესწრებიან, თუმცა მათ შორის არ ფიგურირებს უშუალოდ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით ტრენინგები და სემინარები, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ამ მხრივ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

## 27.4. ინსტიტუციური გამაგრება

ეს მოითხოვს სამთავრობო უწყებებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას თითოეული მათგანისთვის ერთად მუშაობის პირობების შექმნის გზით, რათა უზრუნველყონ ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების გეგმის ყველა ასპექტი. დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიური მონაწილეობის წახალისების მიზნით დაინტერესებულ მხარეებს შორის რეგულარული შეხვედრები უზრუნველყოფს ტურიზმის ყოველმხრივ განვითარებას. ტურიზმის სამუშაო ჯგუფს, რომელიც შედგება ყველა შესაბამისი ინსტიტუტის წარმომადგენლებისგან, ასევე შეუძლია გააძლიეროს ეს თანამშრომლობის პროცესი.

ტურიზმის სექტორში ცნობიერების ამაღლების გარკვეული ელემენტი უნდა განხორციელდეს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე არსებულ შესაბამის ინსტიტუტებთან ერთად. ეს კეთდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაწესებულებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამებოდეს ბაზრების მოთხოვნის, შეთავაზების, კონკურენციისა და მდგრადობის დადგენილ ტურისტულ პრინციპებს. ხშირად რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში გადაწყვეტილებები ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით მიიღება ტურიზმის სისტემისა და მისი ფუნქციონირების შეზღუდული გაგებით. შედეგად, ტურიზმის მრავალმა მოვლენამ შეიძლება ხელი ვერ შეუწყოს ტურისტული ინდუსტრიის, თემებისა და რესურსების გრძელვადიან მდგრადობას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება ტურიზმის სექტორში ინსტიტუციური გამაგრება და პოტენციალის ზრდა.

ამბროლაურის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის აქტიური მუშაობა მნიშვნელოვანწილად ეხმარება ცნობიერების ამაღლებას და დიდი წვლილი შეაქვს მხარის პოპულარიზების საქმეში. მათი facebook გვერდი InRacha სოციალურ ქსელში ერთობ აქტიურია და მუდმივად სთავაზობს საზოგადოებას საინტერესო ინფორმაციას რაჭაში ტურიზმის მიმართულებით. ასევე აქტიურია ონის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის facebook გვერდი. ამ ცენტრის წარმომადგენელთან ინტერვიუ და საველე პირობებში მასთან შეხვედრა კვლევის კონსულტანტებს დაეხმარათ, ნათელი წარმოდგენა შეექმნათ ამ ცენტრის მუშაობისა და როლის შესახებ. ცენტრი მნიშვნელოვან საქმეს ეწევა, მოიძიებს უშუალოდ მოსახლეობისგან მრავალ საინტერესო ინფორმაციას. მათი ინიციატივითა და ჩართულობით შედგა რაჭული კულინარიული კერძების კატალოგი, რომელშიც შევიდა თითქმის მივიწყებული რაჭული კერძები. გაწეული სამუშაო უაღრესად მნიშვნელოვანია მხარის პოპულარიზაციისათვის. თუმცა ამგვარი სამუშაოების ჩატარება უწევთ ცალკეულ ადამიანებს მარტო. ადამიანური და მატერიალური რესურსების ნაკლებობა ხელს უშლის საქმის ხარისხიანად წარმართვას. ამგვარი ტურისტული ცენტრების მუშაობა გადამწყვეტია ტურისტულ სექტორში ცნობიერების ასამაღლებლად, რათა თავად მასპინძლებმა იცოდნენ ზუსტად და სიღრმისეულად, რას სთავაზობენ და რითაა მათი პროდუქტი უნიკალური და გამორჩეული.

## 27.5. ტერიტორიის განაშენიანებისა და ზონირების დაგეგმვა

საჭირო იქნება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის ძირითადი ობიექტებისთვის განკუთვნილი ტერიტორიების განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავება. ნაკვეთების გეგმებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციოს მიწის გაწმენდას კურორტების განვითარებისთვის, ნარჩენების შეგროვებისა და მათი უტილიზაციის სისტემების შემუშავებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში აუცილებელი გზების მშენებლობას, რათა მინიმუმამდე დავიდეს ზემოქმედება. გა-

რდა ამისა, კურორტების მისაღები სიმჭიდროვე, რომელიც გულისხმობს შენობების რაოდენობას კვადრატულ მეტრზე, ასევე ცალკეული შენობების საშუალო ზომა, პირველ რიგში, მოითხოვს სწორი ბალანსის მიგნებას განვითარებასა და ეკოლოგიურ მგრძნობელობას შორის.

ეს გეგმები უნდა შეიცავდეს დაწვრილებით ინფორმაციას ყველა აქტივობის შესახებ, რომელიც საჭიროა ამ ობიექტების განვითარებისთვის და მათი რეალიზაციის თანმიმდევრობას, შემოთავაზებული განვითარების ფარგლებს და დეტალურ რუკებს, რომლებზეც მითითებულია, სად უნდა განთავსდეს შემოთავაზებული ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის გეგმა, რომელიც აღწერს ისეთი ძირითადი სერვისების ხელმისაწვდომობას, როგორიცაა ელექტროენერგია, კანალიზაცია და წყალი, უნდა იქნას განხილული დაცული ტერიტორიების მდგრადი განვითარებისა და წამყვანი პრაქტიკის კონტექსტში.

# 28 ეტაპი 2 – მომზადება

## 28.1. ქსელური სასტუმრო

ქსელური სასტუმრო ბიზნესი გლობალური ეკონომიკის დინამიკური და კომპლექსური სექტორია. ქსელური სასტუმროს სექტორს ამ დინამიკურობას ანიჭებს მისი არსებობის შესაძლებლობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მისი, როგორც სექტორის მრავალმხრივი შესაძლებლობები, ტექნოლოგიური ინოვაციები და ეკონომიკაში შეტანილი წვლილი. ქსელური სასტუმრო სექტორის კომპლექსურობას განაპირობებს მრავალ ქვეყნაში მისი არსებობა, საკუთრების და ასოციაციების ფორმის მრავალფეროვნება, მსოფლიო ეკონომიკის სხვა სექტორებთან მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება და გლობალური კავშირები. ფაქტობრივად, ქსელური სასტუმროების განვითარება განაპირობა მოსახლეობის მიერ ტურისტული სერვისების საჭიროებების ზრდამ, რაც, თავის მხრივ, გამოიწვია დაჩქარებულმა სატრანსპორტო საშუალებებმა. სწრაფი სატრანსპორტო საშუალება გახდა მიზეზი ნებისმიერი ტურისტული დესტინაციის თავისუფალი არჩევანისა და მოკლე დროში დანიშნულების ადგილამდე მიღწევისა. თუმცა, ასეთ ადგილებში მაღალბიუჯეტური ტურისტი უკვე ელოდება განვითარებულ ტურისტულ სერვისებს, მათ შორის, მათთვის ცნობილ ქსელურ სასტუმროებს, რომელიც არის მაღალი ტურისტული მომსახურების ხარისხის მიღების გარანტი. რეგიონში ქსელური სასტუმროს განვითარების ხარისხი ქვეყანაში ცხოვრების ხარისხის, პოლიტიკური სტაბილურობის, ეკონომიკური განვითარების, ახალი სტანდარტების დანერგვის პირდაპირპროპორციულია, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეობისთვის. ტურიზმის და ქსელური სასტუმროს ინდუსტრიას შორის კავშირი არის საკმაოდ კომპლექსური და ორი მიმართულებით ვითარდება – ტურისტული ნაკადების ზრდის შედეგად იზრდება მოთხოვნა ქსელურ სასტუმროებზე ანუ განთავსების ობიექტებზე; შესაბამისად, ქსელური სასტუმროს ინდუსტრია იზრდება რაოდენობრივად და სტუქტურულად, ხოლო მეორე მხრივ დგება აუცილებელი საჭიროება მრავალფეროვანი მომსახურებების გაჩენისა და ამ მომსახურებების პროფესიულ დონეზე გამართვისა. ქსელური სასტუმროების არსებობა ხელს უწყობს კონკრეტულ ლოკაციაზე კულტური მემკვიდროების ძეგლების ხაზგასმას და მათ შესახებ ცნობადობის ამაღლებას, რადგან ქსელი ყოველთვის ირჩევს განსაკუთრებულ და ღირებულ ლოკაციას, რაც ხდება სანომრე ფონდის გაყიდვის ერთ-ერთი მიზეზი. მათი არსებობა მსგავს ტერიტორიებზე კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ადგილების ტექნიკურ გამართულობაზე, უსაფრთხო გარემოზე, რაც მათი არარსებობის შემთხვევაში ვიზიტორებს უჩენს კითხვის ნიშანს. ტურიზმისა და ქსელური სასტუმროების ურთიერთობის ცოდნა განაპირობებს დიდი ინვესტიციების მოზიდვას. ყოველდღიურად იხვეწება მსოფლიოს განთავსების ობიექტები, ადაპტირდება ტურისტული მოძრაობის მოთხოვნებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით დაგეგმილი სამოქმედო გეგმები / სტრატეგიები დაკავშირებული უნდა იყოს ბაზრის ცვალებად საჭიროებებთან.

ქსელური სასტუმროები უზრუნველყოფს წვდომას მაღალ ტურისტულ მომსახურებაზე. ყოველივე ზემოხსენებული მოითხოვს სტაბილურ და კეთილმოწყობილ სამუშაო გარემოს თანამშრომლებისთვის/დასაქმებულთათვის. ქსელური სასტუმრო ზრუნავს თანამშრომლების/დასაქმებულების მუდმივ განვითარებაზე. აქვთ ადამიანური რესურსების ცენტრალური მართვისა და ტრენინგის პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მომსახურების მაღალ ხარისხზე და კომპეტენტური კადრების ყოლაზე. ამისთვის ქსელური სასტუმრო ბრენდის სტანდარტის შესაბამისად მიყვება გაწერილ გეგმიურ ტრენინგებს. ქსელური სასტუმრო

გულისხმობს სასტუმროების ჯგუფს, რომელიც ეკუთვნის ან იმართება ერთი და იმავე კომპანიის მიერ და ფუნქციონირებს ერთი და იმავე ბრენდის ქვეშ. სასტუმროს ქსელში არსებობის უპირატესობებია:

- ■ ბრენდის/ქსელის ცნობადობა

ბრენდის არსებობა კონკრეტულ მხარეში განაპირობებს ამ ბრენდის პოპულარობის გამო კონკრეტული ლოკაციის ცნობადობის ამაღლებას. გამოცდილი მოგზაურები/ტურისტები უფრო ხშირად ირჩევენ ქსელურ სასტუმროებს, ვინაიდან იციან ბრენდის ღირებულებები: ა. პრემიუმ ლოკაცია, ბ. ბრენდის ხარისხი, გ. ბრენდის უსაფრთხოების პოლიტიკა და დ. მომსახურების მაღალი ხარისხი.

- ■ მარკეტინგი და გაყიდვის არხები

ქსელურ სასტუმროებს აქვთ მნიშვნელოვანი მარკეტინგული ბიუჯეტი და უკვე კარგად შესწავლილი, გამოცდილი გაყიდვის არხები, რომლებზეც წვდომა დამოუკიდებელ სასტუმროებს არ აქვთ. ამ მხრივ ქსელური სასტუმროს სამიზნე აუდიტორიაც გამორჩეულია. ეს ფაქტი ხელს უწყობს ახალი სეგმენტის მოზიდვას კონკრეტულ ლოკაციაზე და ზოგადად მეტი სტუმრის მიღება-განთავსებას.

- ■ საოპერაციო მხარდაჭერა

ქსელური სასტუმროები უზრუნველყოფენ მათ საკუთრებაში არსებული ობიექტების საოპერაციო მხარდაჭერას, რაც გულისხმობს თანამშრომლების/დასაქმებულების გეგმიურ ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით, ხარისხის მუდმივ კონტროლს და სტანდარტების დანერგვს, დანერგილი სტანდარტების მონიტორინგსა და შესრულების ხარისხის მხარდაჭერას. ეს ყველაფერი ხელს უწყობს საქმიანობის ეფექტურად მართვას ბრენდის სტანდარტების შესაბამისად.

- ■ ხარჯების კონტროლი/დაზოგვა

ქსელური სასტუმროს მაშტაბურობა განაპირობებს მისი ხარჯების ზედმიწევნით კონტროლს და დაზოგვას. შეკვეთების და საჭიროებების მაშტაბიდან გამომდინარე ქსელურ სასტუმროებს აქვთ სპეციალური ფასდაკლება ქსელის მიერ დამტკიცებულ მომწოდებლებთან, რომლებსაც ხარისხის კონტროლი გავლილი აქვთ; ქსელს აქვს საერთო რესური, ცენტრალიზებული სერვისები, რომლებზე წვდომაც კერძო სასტუმროს ფიზიკურად ვერ ექნება. ამ ყველაფერში მათ სჭირდებათ ფინანსური რესურსი.

- ■ ლოიალობის პროგრამები

ქსელურ სასტუმროებს აქვთ ლოიალობის პროგრამები. ლოიალობის პროგრამის ფარგლებში ქსელური სასტუმრო აჯილდოებს თავის ერთგულ სტუმარს, რაც იწვევს ერთგული სტუმრის გამეორებით ვიზიტს არა მარტო იმ კონკრეტულ ობიექტზე, არამედ მსოფლიოს მაშტაბით მთელ ქსელში. სტუმრის ლოიალურობის დაფასება მათი გამეორებითი ვიზიტის საწინდარია, რაზეც ქსელური სასტუმრო დაუღალავად მუშაობს მრავალი წლის განმავლობაში შემუშავებული მეთოდებით, დაკვირვებებაზე, კვლევასა და სწავლებაზე დაყრდნობით.

- ■ გლობალური წვოდმა

სასტუმროების ქსელები გამოირჩევა იმითაც, რომ ხშირად მასშტაბურად არიან წარმოდგენილი საკუთრების ანუ ობიექტების რაოდენობიდან გამომდინარე თითქმის ყველა ქვეყანასა და რეგიონში, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო მოგზაურების მოზიდვას და უზრუნველყოფს ჯვარედინი რეკლამირების შესაძლებლობას ქსელის ფარგლებში სხვადასხვა სასტუმროს/ობიექტს შორის. ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოში არსებული მარიოტის სასტუმროების ქსელი, რომელიც თბილისში წარმოდგენილია *Tbilisi Marriott, Courtyard by Marriott, Moxy, Luxury Collection Paragraph Freedon Squire* და *Sheraton* -ის სახით, ხოლო აჭარაში *Le Meridian Batumi, Sheraton Batumi, Courtyard by Marriott Batumi, Paragraph Shekvetili* – ის სახით.

- ■ შემცირებული/დაბალი რისკები

ქსელურ სასტუმროს, როგორც ერთი დიდი ორგანიზაციის ნაწილს, აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს საერთო რესურსებითა და გამოცდილებით, რაც ხელს უწყობს ისეთი რისკების შემცირებას, როგორიცაა ეკონომიკური ვარდნა, ბუნებრივი კატასტროფები ან სხვა ბევრი გაუთვალისწინებელი გამოწვევა.

მთლიანობაში ქსელური სასტუმროს არსებობამ მრავალი სარგებელი შეუძლია მოუტანოს მხარეს/რეგიონს, მათ შორის გაზრდილი ცნობადობა, საერთაშორისო ქსელის მხარდაჭერა მომსახურების ხარისხის შენარჩუნებაში და კონტროლში, ხარჯების კონტროლი/დაზოგვა და რაც მთავარია უფრო ფართო სტუმრების ბაზაზე წვდომა.

რეგიონში ქსელური სასტუმროს არსებობას ბევრი უპირატესობა აქვს. ქსელს აქვს ფინანსური სტაბილურობა და ხელეწიფება, მაშტაბურ მარკეტინგულ კამპანიებში მონაწილეობის მიღებით გაზარდოს თავისი ცნობადობა აუთვისებელ ბაზრებზე, რაც ნებისმიერი რეგინისთვის ახალი შესაძლებლობაა. ეს კამპანია ეხება მთლიანად ქსელის პოპულარიზაციას და არა რომელიმე კონკრეტულ ობიექტებს. ქსელს აქვს შესაძლებლობა ინვესტიცია ჩადოს ძალიან ძვირადღირებულ, მაგრამ საჭირო ტექნოლოგიებში/პროგრამულ უზრუნველყოფაში, რათა მაქსიმალურად გაზარდოს შემოსავალი. გაზრდილი ცნობადობით ქსელური სასტუმრო ქმნის იმიჯს, იდენტობას და შეუძლია თავის ბადეში მოაქციოს მოგზაური საზოგადეობის დიდი წილი.

ტურიზმის გლობალიზაციამ გამოიწვია კომპანიების ჯგუფების ჩამოყალიბება უფრო ძლიერი ტურისტული სერვისებით; ეს ჯგუფები იმპერიებად იქცნენ და მოიცვეს ყველა კონტინენტი და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა. ისინი სარგებლობენ საერთაშორისო კაპიტალით. მათი მოგება საკმაოდ მაღალია, რაც საერთაშორისო ბაზარზე ქსელური სასტუმროების განვითარების საშუალებას იძლევა.

ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში ქსელური სასტუმროს განვითრებამ მათი უპრეცედენტო ევოლუცია განაპირობა. ქსელურმა სასტუმრომ, როგორც ტურისტული ინდუსტრიის განუყოფელმა ნაწილმა, ევოლუციის პიკს მიაღწია განვითარებულ ქვეყნებში, რაც გამოიწვია რამდენიმე ფაქტორმა: ეკონომიკური, სოციალური, ტექნნიკური, დემოგრაფიული, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური. ***ქსელური სასტუმროს/ ბრენდის რეპუტაციამ და დანერგილმა მაღალი სტანდარტით მომსახურებამ განაპირობა ამ ქსელის/ბრენდის აღიარება დიდი რაოდენობით მომხმარებლების/სტუმრების მხრიდან მიერ მთელ მსოფლიოში, რასაც მოწმობს წლიური საშუალო დაკავებულობის მუდმივი ზრდა.***

